„მოგზაური“ წელიწადში დირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნარიყალაზ. ქ. № 44.

მოგზაური

უოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია-ირთვება ყველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 18. კვირა, 15 მაისი 1905 წლისა. № 18

რედაქციისაგან: მოვაგონებთ, ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია ჯ ვთხოვთ ჩქარა შემოიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა შეწყდება.

რედაქციისაგან: რადგანაც „მოგზაურის“ 8, 14 და 16 ნომრები სრულებით აღარ მოიპოვება რედაქციაში, ამიტომ ახალი ხელის მოწერლები დასახელებულ ნომრებს ვეღარ მიიღებენ.

შინაარსი: თავის გამართლებაც ასეთი უნდა! ფ. მახარაძისა.—სხვა და სხვა ამბები.—სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—პასუხათ ილია ჭავჭავაძეს, ვ. ნ. —სა.—საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში, ანისა. —ჟურნალ-გაზეთებიდან.—პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთა საქმე.—მცირე შენიშვნა, ასოთ ამწყობისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა, კლ. ცეტკინის, თარგმანი.—წერილი რედაქციის მიმართ.

თავის გამართლებაც ასეთი უნდა!

(პასუხათ თ-დ ილია ჭავჭავაძეს).

წავიკითხე თ-დ ილია ჭავჭავაძის სპასუხო წერილი, რომელიც გაზ. „იველრიის“ რედაქციას ცოლკე გამოცემით დაუსტამბავს თავის სახახელოთ, და სწორე მოგახსენოთ გაოცებული დავრჩი. ჩემ გამოზდაში ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი სისაძაგლე მინახავს ჩემი თვალით, ბევრი კიდევ სხვებისგან გამიგონია, მაგრამ ჩემ ღღეში ამისთანა არც ჩემი თვალით მინახავს და არც სხვებისგან გამიგონია. წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით, მთელი თავისი არსებით მოწადინებულია მეორე პირი ლაფში ამოსვაროს, სახელი გაუტეხოს, დაამციროს, მიწასთან გაასწოროს, რომ თავისი თავი ყოველად პატიოსან, უმანკო არსებათ დასახოს, და ნამდვილათ კი მხოლოთ თავისივე თავს ამცირებდეს, მიწასთან ასწორებდეს, თავისივე თავს სამარეს უთხრიდეს. აი ასეთ საქმეს ჩადის საქართველოს სასიქადულო მწერალ-პოეტი თ-დი ილია ჭავჭავაძე! მტერი იმას ვერ უზამდა, რაც მან თავის თავს უქნა. მისი უშველებელი წერილი, თავის გასამართლებლათ დაწერილი, „იველრიის“ გულუხვი გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობის წყალობით აღბეჭდილი, თავის გამართლება კი არაა, არამედ უსასტიკესი საბრალმდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისივე ხელით თავის მოკვლა. თ-დ ი ჭავჭავაძის წერილში არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა არაა, რომელიც მას არათუ ბრალდებიდან ათავისუფლებს, არამედ ამ ბრალდებას რამოდენიმეთ მაინც უმსუბუქებდეს! ეს მეტათ გასაოცარია, მეტათ დაუჯერებელი ამბავია! ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკა,— სწორეთ ამაზე ითქმის. როგორ მოხდა ეს, რა თქვა თ-დმა ჭავჭავაძემ თავის საპასუხო წერილში? — უნებლიეთ შეგვეკითხება ის, ვისაც ხსენებული წერილი არ აქვს წაკითხული.

საქმე ის არის, რომ თ-დ ჭავჭავაძემ არა თუ ვერ დაარღვია ის, რასაც მას „მოგზაურის“ კორესპონდენტი აბრალებდა, არამედ თავის წერილის მეოხობით, ეს ბრალდება კიდევ უფრო გააძლიერა, მის დასამტკიცებლათ უფრო მეტი ფაქტები გამოაჟღავნა, ე. ი. იმაზე მეტი, რაც ჩვენ კორესპონდენტს ჰქონდა დასახელებული; თ-დ ჭავჭავაძემ უფრო დაწვრილებით გვამცნო, თუ რა ნაირი განწყობილება არსებობს მასა და გლეხებს შორის, თუ მას როგორი წესი შეუმუშავებია, და ცხოვრებაში განუხორციელებია; ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც მან თავის გასამართლებლათ მოიყვანა, „მოგზაურში“ დაბეჭდილი კორესპონდენციის დამატება და განჯარტებაა. ცნობილია, რომ ნაწერით რამდენიმეთ იცნობება თვით დამწერი; თუ ყოველთვის ეს ვერ მართლდება, ეს იმიტომ, რომ, წლევანდელ საზოგადოებაში ავტორი უფრო ხშირათ ნებსით თუ უნებლიეთ მალავს თავის ნამდვილ აზრს და შეხედულებას, თავის ნამდვილ სურვილს და გულის წადილს. თ-დ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისთვის თავისი შინაგანი „მე“ ისე, როგორც „იველრიის“ № 68-ში დაბეჭდილ წერილში. აქ ჩვენ იმ ჭავჭავაძესთან გვაქვს საქმე, რომელიც სინამდვილეში არსებობს: აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას თავის ინტერესები. მართალია თ-დი ილია ჭავჭავაძე აქაც შიგა და შიგ ძველ ოინებს ხმარობს, წამდაუწუმ ზნეობაზე, კაცურ კაცობაზე, სამარლიანობაზე და სხვა ამგვარობაზე გაიძახის, მაგრამ ყველაფერი ეს აქ მეტათ უადგილო და უხერხულია. ილია ჭავჭავაძე როგორც საქართველოს სასიქადულო მწერალი, ავტორი «გლახის ნაამბობის», «კაცია ადამიანის», «გლახა ჯრიაშვილს», „კაკო ყაჩაღის“ და სხვათა, სრულებით დაუჩრდილავს თ-დ ილია ჭავჭავაძესაც, როგორც მემამულეს. ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოთ იმისათვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არა გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი ჭემამულე, რომელსაც ასე ულმობელათ მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა.

თ-დი ჭავჭავაძე დიდი რიხით აცხადებს, რომ იგი კერძო საკუთრების მოტრფიალეა. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ის დიდი მოძრაობა, რომელიც დღეს ჩვენ თვალ წინ ხდება,

რომლის მოწამენი დღეს ჩვენა ვართ და რომელიც მიმართულია დღევანდელ უსამართლობის წინააღმდეგ, დღევანდელი ძირითადი სოციალური უკუღმართობის მოსასპობათ, მას მეტათ აღონებს და ძლიერ აწუხებს. ჩვენი თავადი დიდი გულისწყრომით ამობს: „კაცმა დიდი მწუხარებით უნდა შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ მოუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამატომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო“.—კერძო საკუთრება სამართლიანათ თუ უსამართლოთ—განაგრძობს ჩვენი ბრძენი მწერალი—ჩვენდა საბედნიეროთ (მემამულეების, უეჭველია) თუ საუბედუროთ (აქ ალბათ გლეხები უნდა ყავდეს მხედველობაში ჩვენ მგოსანს!) ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს ზატიაში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისვლა, ვინც გინდ იფიქრებთ არ დაუჯდებაო“ *). როგორც ხედავთ, სახელოვანი მგოსანი დიდი მომხრეა კერძო საკუთრების, მაგრამ თავის აზრის დასამტკიცებლათ ვერავითარი საბუთი ვერ გამოუნახავს. ნუ თუ კერძო საკუთრების გამართლება იმით შეიძლება, რომ იგი „ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდ პატივში?“ შესაძლებელია დავეკითხოთ თ-დ ჭავჭავაძეს: ვისი მხრით იქნება დიდ პატივში კერძო საკუთრება? თუ თქვენისთანა მსხვილი მემამულეების და ბურჟუა კაპიტალისტების მხრით, რომლების ხელში თანდა-თან გროვდება წარმოების საშუალებანი და იარაღნი, ეგ კიდევ ვერაფერი საბუთია კერძო საკუთრების გასამართლებლათ. ან რაში მოუნდა ახლა თ-დ ჭავჭავაძეს კერძო საკუთრების დაცვა და გამოსარჩლება? განა ჩვენთვის საეჭვო იყო, რომ იგი, როგორც მსხვილი მესაკუთრე და მემამულე, კერძო საკუთრების თავგამოდებული მომხრე იქნებოდა? «მოგზაურის» კორესპონდენტი მას სრულებით არ შეხებია, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგს. მან გამოაქვეყნა მხოლოთ რამდენიმე გულის ამოღვრევი და ალმაშფოთებელი ამბები, რომლებიც ახასიათებენ თ-დ ილიას, არა როგორც კერძო მესაკუთრეს, არამედ როგორც ადამიანს. ჩვენ სავსებით გვესმის მისი გაბრაზება დღევანდელ მოძრაობის გამო. მართლაც და, კაცი მთელ თავის სიცოცხლეში იმას ცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განმტკიცებია, რომ რაც შეიძლება მეტი წილი გლახის ნაოფლარისა* ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხკაცობას ყოველგვარ შეეწროებას აყენებდა, რისთვისაც იგი ადაფერს არ ზოგავდა, ოღონდ კი თავის მიზანი განეხორციელებია და ახლა ხედავს, რომ ყოველივე ეს იფუშება, ყოველივე მისი მეცადინეობა იკარგება. განა ასეთი ადამიანი შესაბრალისი არ არის. „რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხ-კაცს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნათესავი, რომ თქვენ მამულზე ხელი გაიწოდოს, მაშინ როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედათ უდევს არამც მთელ საზოგადოებრივ წყობას რუსეთისას, არამედ მთელ ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწაზეო“. დავამშვიდებთ თ-დ ი. ჭავჭავაძეს, რომ გლეხები ჯერ არ იწვდიან ხელს სხვის მამულზე, ისინი ჯერ ჯერობის თხოულობენ მხოლოთ იმ უსამართლობის გასწორებას, რომელიც მებატონეებმა ჩაიდინეს ეგრეთ წოდებულ გლეხების გათავისუფლების დროს. მაგრამ განა გლეხებს უფრო მეტი სიმართლით არ შეუძლიათ მიმართონ თქვენისთანა მემამულეებს ასეთი სიტყვებით: რა სიმართლე, რა საბუთი გაქვთ, რომ თქვენ ჩაგიგდიათ ხელში ამოდენა სიმდიდრე, ამოდენა მიწა-ადგილი, როცა ჩვენ ფეხის დასადგამი მიწა არ მოგვეპოება. ვეკითხებით თ-დ ილიას: რომელი მხარე იქნება მაშინ უფრო მართალი? რომელ მხარეს ექნება უფრო მეტი საბუთი? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისგან ამ კითხვაზე, როგორც სხვებზე, გადაჭრელს, სწორს და ნათელს პასუხს ვერ მივიღებთ: იგი ან სამართლიანობის დანდობას ამოეფარება, ან კაცთა ადამიანურ ცხოვრებას და ამით გაათავებს საქმეს. ამიტომ უმჯობესია დავანებოთ მას თავი, როგორც კერძო საკუთრების ვაგლახ იდეოლოგს და გადავიდეთ პრაკტიკულ სფეროში, სადაც იგი ახორციელებს კერძო საკუთრების პრინციპს და სადაც იგი მართლა რომ თავის ადგილზეა. ამ სარბიელზე მას იშვიათათ ეყოლება ბადალი. მას წარბ შეუხრელათ გაყავს ცხოვრებაში მთელი თავისი სისასტიკით კერძო საკუთრების პრინციპი. მან არ იცის რას ქვია გაჭირებული კაცის შებრალება. თუ კერძო საკუთრების პრინციპის დაცვაზე მიდგა საქმე, იგი მზათაა მას ანაცვალოს ყოველივე, დაკარგოს სინდისი, პატიოსნება, და პრინციპს კი არ უღალატებს. თუ გნებავთ ეს ერთნაირი რაინდობაა, მაგრამ რაინდობა დაბალ-ხარისხის, რომელსაც მიზნათ თავის პირადი სარგებლობა აქვს და სხვისი დაჩაგვრა. რაში იხატება თ-დ ილია ჭავჭავაძის ასეთი მოღვაწეობა? ამის დასახასიათებლათ ჩვენ გავჩერდებით მხოლოთ ორ მაგალითზე. ჩვენი აზრით, ეს ორი მაგალითიც საკმარია ილია ჭავჭავაძის პრაქტიკულ მოღვაწეობის დასახასიათებლათ, თუ როგორ ეკიდება ან რა დამოკიდებულება აქვს მას გლეხებთან. ეს ორი გარემოება ჩვენ კორესპონდენტსაც ჰქონდა აღნიშნული. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, არა იმეთი სისრულით, არა ისეთი სისწორით, როგორც ეს თითონ ილია ჭავჭავაძემ გადმოგვცემია თავის საპასუხო წერილში. ეს ორი მაგალითი ასეთია: ერთი შეეხება იჯარით გაცემულ მიწებიდან ღალის აღებას და მეორე სამოვარ ადგილებზე დაწესებულ გადასახადს. დავიწყოთ პირველიდან:

ამ რას ბრძანებს თავით პატრონი:

„ამ ხუთ სოფელში, რომელნიც საგურამოს შეადგენენ, სულ სახელმწიფო გლეხნი დგანან და იქა ხვნენ და თესენ, სცა მამულის პატრონს მოსავლიდამ. ამ სოფლებში დიდი **ხნიდან დაწესებულია, რომ ვინც ვის მამულს მოხნავს, მამულის პატრონს მეოთხედი უნდა აძლიოს და თავის მემამულეს კალოზე მიუტანოს.**

„ამ მეოთხედის დათვლა-მატება, ათეულების ადგილობრივი შეფარდება და სხვა ამისთანა მრავალი მიზეზიანი საქმეა და ხშირათ ამ **სარბიელზე ჩხუბი და დავიდარაბა მოსდით მოურავს და გლეხს ერთმანეთში.** ნუ დავიწყებთ ამ გარემოებებს, რომ ერთსა და იმავე მაღალში, ნამეტნავათ თუ ცოტა დენათ მოხრდილია, შესაძლოა თავიდან ბოლომდე ერთნაირი ძნა არ იყოს, ხშირათ თავში კარგი, შუაბანი ძნაა და სხვადა, შუა წელში ან ბოლოში ნაკლებია, გამცდარია, შუა-ნაკლებია და ამის გამო ათეულები ხშირათ ერთსა და იმავე ფარდასაც არ არიან...

„სავმაოა მარტო ეს გარემოება დავიყენოთ თავად წინ და მასთან ერთათ ისიც, რომ ძნებს ცალცალკე დადგმულ ათეულებათ იყოფენ ერთმანერთთან შეფარდებით.—რომ მავსდეთ—რამდენი ხიფათი მოსდევს ამ მეოთხედობას, თუ მოურავი ან გლეხკაცი ერთმანეთს გადაუკადებიან ერთმანეთის ჯაჭვის ამოერას მოიწადინებენ.

ყველა ამაების თავიდან ასაცილებლათ თ-დ ი. ჭავჭავაძეს დაუწესებია:

„მოურავმა იქამ, სცა შეათხედს მიათვლის, ბარათი აძლიოს, ვისგან რა ერგო და თითონაც დავთარში ჩაიწეროს, იქავ თავის თვალწინ ურემზე დაადებინოს, რომ ძნები არ შეცვალონ, და ისე გამოისტუმროს. გლეხ-კაცი რომ კალოზე მეოთხედს მოიტანს ძნის მიმღებს ხსენებული ბარათი უნდა ჩააბაროს და ამ ბარათით უნდა მიუთვალოს“...

*) ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ.

აი ასეთია თ-დ ილია ჭავჭავაძის მიერ შემოღებული წესი, რომელიც თითონ მან გაგვაცნო. თუ მას დავუჯერეთ, ,,დიდ ნაწილს გლეხ-კაცობას ეს ნებაყოფლობითი (?!) წესი მოუწონებია თ-დ ილიასთვის, და მიუღია''. ასე გვეუბნება ჩვენი ავტორი, მაგრამ შემდეგ იგი ამის საწინააღმდეგო ფაქტებს გადმოგვცემს. ,,ბევრი ვეცადეთ, გვეუბნება იგი, ეს უბრალო და უმანკო (?!) წესი არავისთვის დამერღვევინებია, მაგრამ ვერა რას გავხდი. წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ შიგა და შიგ ხან ერთს გლეხს არ შეეშალა, ხან მეორეს. აქ ყურის მოკრუება წესის სრულიად დაფუშვას მოასწავებდაო'', და ამიტომ თ-დ ილიას სასტიკათ მოუვლია საქმისთვის ხელი. ჩვენ ის გვაკვირვებს მხოლოთ, ამ დრაკონისებურ წესს თ-დმა ილია ჭავჭავაძემ ნებაყოფლობითი და უმანკო როგორ უწოდა! თუ ეს ნებაყოფლობითი და უმანკო იყო, თუ გლეხ-კაცობის უმეტესმა ნაწილმა იგი მოუწონა ჩვენ თავადს, რიღასთვის ამბობს იგი, რომ ბევრი ვეცადე ეს წესი არავისთვის დამერღვეინებინა, მაგრამ ვერარას გავხდიო!'' და მართლაც, განა შესაძლებელია თუ არ ძალდატანებით და თუ არ სასტიკი ზომებით იმ წესის შესრულება, რომელიც თ-დ ჭავჭავაძეს შემოუღია? აშკარაა, რომ ამ წესით გლეხ-კაცს მოხვნა, დაფარცხვა და მომკა ბევრათ უფრო იაფათ დაუჯდება და ბევრათ უფრო ადვილათ შეასრულებს, ვინემ მთელი იმ პროცედურის შესრულება, რომელიც ილია ჭავჭავაძეს შემოუღია. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმეთ წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: გლეხმა მოსავალი მოიყვანა და მომკა. მას მხოლოთ მეოთხედის ჩაბარება დარჩენია მემამულესათვის. აი აქედან იწყება მისი ტანჯვა. ჯერ ის უნდა ელოდოს მოურავს; ამას მარტო ერთ და ორ გლეხთან ხომ არ უჭირავს საქმე, არამედ ოცს, ორმოცს და შეიძლება კიდევ მეტთან. ახლა იგი როდის მოისურვებს ჩვენ გლეხთან მოსვლას; მერე ძნების შეფარდებით გაყოფას, ბარათის ჩაბარებას, ურემზე დადებას და მემამულეს კალოზე გასტუმრებას. მეორე პროცედურა გლეხს აქ მოელის, ჯერ ბარათის ჩაბარება ძნის მიმღებისათვის, შემდეგ ურმის დაცლა. ეს არის მთელი სისტემა, რომელშიაც უბრალო რამის გამოშვება ან დავიწყება ერთ დავიდარაბას და ალიაქოთს იწვევს, რაც დაუსჯელათ არავის არ ეპატიება. აქ ჩვენი მგოსანი მეტის მეტ ულმობელობას და შეუბრალებლობას იჩენს. ბოლოს და ბოლოს უმეტეს შემთხვევაში აქ საქმე იმით თავდება, რომ გლეხს მეოთხედის სახით მთელი მოსავალი ხელიდან ეცლება: ან იქვე კალოზე უფუჭდება და უოხრდება ან კიდევ რაც მეოთხედს გადარჩება მოურავების ჯიბეში მიდის. აი ამას უწოდებს კაცთ მოყვარე მგოსანი უმანკო და უბრალო წესს, რომელიც გლეხებმა მოიმოწონესო! ნუ თუ ჩვენი მგოსანი ისე გულუბრყვილო ბრძანდება, რომ მეტი არ ესმის? მაგრამ მისი გულუბრყვილობა ძნელი დასაჯერებელია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იგი თავის წერილში, სხვათა შორის ბაბობს, რომ მხოლოთ ორი შემთხვევა იყო, როცა გლეხებს ეს «უმანკო» წესი დაურღვევიათ. როგორ მოხდა ეს? თ-დი ჭავჭავაძე გვეუბნება, რომ ისე წელიწადი არ გაივლიდა, რომ ხან ერთს და ხან მეორეს ეს წესი არ დაერღვიათ, და იქვე ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა მხოლოთ ორი იყოო. დავუჯეროთ თ-დ ილია ჭავჭავაძეს ეს დაუჯერებელი ამბავი. ვთქვათ, რომ მხოლოთ ორი შემთხვევა იყო, როცა მან ურმით მატანილი ძნა უკან გააბრუნა. ერთი ასეთი შემთხვევა შარშან თუ შარშან წინ მომხდარა, რასაც თ-დი ჭავჭავაძე შესაბრალებელი კილოთი მოგვითხრობს და თანაც კითხულობს: მაშ რა მექნა? როგორ უნდა მოქცეულიყავ? ამოდენა ხნის ნაღვაწი, წვითა და დაგვით აშენებული შენობა ინგრეოდა, თუ დადებულ ურემს უკან არ გავატანდი და მეც უკანასკნელ ზომას მივმართე. ასე გეკონებათ, თ-დ ჭავჭავაძეს მხოლოთ ის აწუხებდა, რომ წესი არ დარღვეულიყო, კანონი შესრულებულიყო. რა უყოთ რომ ამის გამო, ვილაც გლეხი სხვერპლი შეიქნებოდა. Fiat justitia, pereat mundus! ოღონდ წესი შესრულდეს, და თუ გინდ მთელი ქვეყნიერება დაინგრეს! და აი ამას შემდეგ თ-დი ილია ჭავჭავაძე გიმოდის და დაურცხვენელათ ადამიანის ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივის ცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას (შეიძლება თ-დ ჭავჭავაძეს გლეხი ადამიანათ არ მიაჩნია)! ფეხ ქვეშ თელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პაეროსან ადამიანში მხოლოთ ზიზღს იწვევს. ჩვენ ეხლა კარგათ გვესმის, თუ ასე ძალზე რისთვის იჭაჭებოდა თ-დი ჭავჭავაძე, როცა საქართველოს ავტონომიის შესახებ სჯა—ბაასი ჰქონდა ქართველ თავად-აზნაურობას. ჩვენ ახლა კარგათ ვიცით, თუ რას ნიშნავდა იმის სიტყვები, რომ ყველა კანონებს აქ, ადგილობრივ, უნდა ვწერდეთო. კაი თქვენ დაგემართებათ, კარგ კანონებს დაუთესდით თქვენ მუშა ხალხს!

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება).

სხვა და სხვა ამბები.

შვიდ მაისს ქ. ვარშავაში მომხდარ აფეთქების დროს 23 კაცი დაჭრილა, მათ შორის სამი მომკვდარა. დაჭრილებში ერთი სტუდენტია და ორი გიმნაზიელი.

— ქ. ბორისოგლების შუაგულ უბანში კერძო სახლის გაჩხრეკის დროს აუარებელი პროკლამაციები უპოვიათ და თანაც საბეჭდი მოწყობილობა აღმოუჩენიათ.

— გაზ „იღვნი კურიერის“ რედაქციაში, რომელიც ქ. ქერჩში გამოდის, ვილაც მოძღვარი კურილინსკი შესულა და მცირე ლაპარაკის შემდეგ გაზეთის რედაქტორ კრიტისათვის რევოლვერი უსვრია. რედაქტორი ცოცხალი გადარჩენილა.

— ქ. სედლეცში 11 მაისს ღამის 12 საათზე ვილაცამ ბომბა ესროლა პოლიციმეისტერს და 24 ჭრილობა მისცა. აფეთქება საზარელი იყო.

— ქ. ბაქოში ნაშუადღევის 3 საათსა და 10 წუთზე ქალაქის შუაგულ უბანში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე ეტლით მიმავალ ბაქოს გუბერნატორ თავად ნაკაშიძეს უკბარა ესროლეს. გუბერნატორი იქვე მოკვდა. მოკლულია აგრეთვე ერთი ესაული, კურიერი და ერთი ვაჭარი.

— როგორც გაზეთ „ივერიას“ ატყობინებენ ქუთაისში 72 კაცი ამოუყვანიათ დაჭერილი სამეგრელოს სხვა და სხვა სოფლებიდან; მათ შორის მასწავლებელი და სტუდენტიც ურევია.

— იმავე გაზეთს ატყობინებენ ნახიჩევანიდან, რომ იქ სომხებსა და თათრებს უთანხმოება მოსვლიათ და ერთმანეთსა ჭლეტენო. საქმე თურმე თან და თან მწვავდება.

— სოფ. წითელში გიორგი ხომერიკის სახლში ადგილობრივ ბოქაულს შვილი ცალი ბერდანკა და იმისი პატრონები აღმოუჩენია.

— სპიჩკაზე ბაქის მომატება უკვე გამოუცხადა საქალაქო მთავრობამ ქალაქის გამგეობას. ბაქის მომატება, როგორც ვიცით ომის ხარჯებმა გამოიწვიეს.

— დუშეთის მაზრის სოფლებიდან ჯარი გამოიყვანეს.

— როგორც ბაქოდან ატყობინებენ „თბილ. ფურც.“ გაზეთი «ბაკინსკი იზვესტია» დაუხურავთ გენ.-ად. თავ. ამილახვრის განკარგულებით.

--

ყაზანის ნავთსადგურში შვიდ მაისს 125 მუშამ აკვეთა მუშაობა და ანგარიშის გასწორება მოითხოვა, რადგან იჯარადარმა ბე დაუჭირა.

— მილეკერში შვიდ მაისს ორასი ფეიქარი გაიფიცა. თუმცა უწესოება არავითარი არ მომხდარა, მაგრამ პოლიცია მაინც გამოიწვიეს გაფიცულთა დასამშვიდებლათ.

— როსტოველი პურის ვაჭრები ძლიერ შეუწუხებია მატროსებისა და ბარჟის დამტვირთველთა გაფიცვას, რადგან საზღვარ-გარეთ პურის გაგზავნის დაგვიანება დიდ ზარალს მოუტანს მათ ვაჭრობას.

— ქ. მინსკიდან იწერებიან, რომ როსტოვ-ბრესტის რკინის გზის ქარხნები დაიკეტა და მუშები დაითხოვეს.

— შვიდ მაისს ქ. ეკატერინოდარში ტრამვაის მოსამსახურეები გაიფიცენ, მეეტლეები კი მესამე დღე გადის რაც ალარ გამოდიან.

— ქ. ბელოსტოკში 10 მაისს გაიფიცენ მკერავი ქალები.

— ქ. ვორონეჟში გაფიცულმა ნოქრებმა ღია მაღაზიები დაიარეს და მათი დაკეტა მოითხოვეს. ყაზახ-რუსებმა გაფანტეს ისინი.

— სამრეწველო ქ. ლოძში 10 მაისს მუშებმა არეულობა მოახდინეს. დაიბარეს ყაზახ-რუსები.

გაიფიცა სულ რვა ფაბრიკა, მათ შორის გეინცელისა და კუნიცერისა. გაფიცულთა რიცხვი 5000 მეტია.

— 10 მაისს ქ. რიბინსკში გაიფიცენ ნავთ-სადგურზე მომუშავე დამტვირთველნი.

— ქ. ელისავეტგრადში გაიფიცნენ ყველა ქარხნის მუშები.

— ქ. კრემენჩუგში 11 მაისს გაიფიცენ ვაგონის დამზადებელ ქარხნის მუშები.

— როგორც ბაქოდან დეპეშით იუწყებიან 12 მაისს ბალახანაში მუშათა საერთო გაფიცვა დაიწყო.

— ქ. ეკატერინობურგში 12 მაისს გაფიცულან ალაპაევის სამთო მადნის მუშები.

— ქ. კრემენჩუგში კრიუკოვის რკინის გზის სახელოსნოების მუშები გაიფიცენ.

— ქ. ოდესაში ყასბები გაიფიცენ და ხორცი თითქმის ალარ იშოვება.

—

გაზ. „Нов. Обозр.“-იას ნახიჩევანიდან ატყობინებენ: ყველა მაღაზიები გაცარცულა და გადაბუგვილია, მდგომარეობა მეტათ საშიშარია. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ არ იციან.

—

როგორც გაზ. „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ, ბაქოს გუბერნატორის, თ-დ ნაკაშიძის მკვლელი უკვე შეუპყრიათ ხატისოვის ქარხანაში.

სოფლის ამბები

ხარაგოული. ათას წლობით შებორკილ-შებოჭილ და არა ადამიანათ ცნობილ გლეხს დღეს მიეცა დრო, რომ ოპოზიციაში ჩაუდგეს მთავრობას და ჩაუდგა კიდეც. აქაც როგორც ყველგან სხვაგან გლეხებმა შესწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა სოფლის სასამართლოებთან. უარი განუცხადეს მოსამართლეებს დრამის ფულის გადახდაზე. აგრეთვე მღვდელ-მოქმედებაც შეკვეთილიც გაიცილებით შეამცირეს, რამაც უმეტესი ნაწილი მღვდლებისა მეტათ გაამწარა და სიტყვით თუ საქმით ზომებიც მიიღებინა. მე მოვიყვან აქ რამოდენიმე ფაქტს ერთი სამღვდელოების მღვდლის მოქმედებიდან. ეს მღვდელი სულ უმაწვილი კაცია. როდესაც მას გამოუცხადეს დრამის ფულს ვერ მოგცემთო, ის გაბრაზდა და უთხრა გლეხებს: დაიცადეთ, ნუ მომცემთ! აქ მოვლენ რუსები და გადაგახდევინებენო. როცა ამითი ვერაფერს გახდა, ვითომც ლაქუცობით შეცდენა მოუნდომა გლეხებს: „პრიგავორი“ მომეცით, რომ როგორც დღემდის, ისე შემდეგშიაც ყოველივე ჩვეულებრივ მაძლიოთო. ამან კიდევ უფრო გაამწარა გლეხები და უკანასკნელი უარი უთხრეს. მას შემდეგ გავიდა დრო და ყაზახ-რუსები მოევლინენ ჩვენ კუთხეს და გაითქვეს ჩვეულებრივი სახელი.

ეს მღვდელი ერთი შემძლებელთაგანია და ჯამაგირიც აქვს ოცდა-ათი თუმნი მთავრობისაგან, ამასთანავე თავის სოფელში არის მღვდლად.

—

არ შემიძლია არ ვამცნო მკითხველებს შემდეგი: ამ სამი კვირის წინათ აზნაურმა გურგენიძემ ვაიწვია ყაზახები ხარაგოულიდან თავის სოფ. სხლითში, სადაც გლეხები ცხოვრობენ, რომ დაეგრბიათ ეს უკანასკნელნი. სოფელში ჩვეულებრივი სიწყნარე იყო, რაც დაირღვია ერთმა გურგენიძეთაგანმა თოფის სროლით. ამით შემთხვევა მიეცა ყაზახ-რუსებს, რომ დაესაჯათ გლეხები. მოკლული იქნა ორი გლეხი: დათუნაშვილი და კაკაბაძე, ოც-ოც და ორი წლისანი, ორიც მსუბუქათ დაიჭრა და სამი გალახულია—ერთი მათგანი ძალზე. ამას წინათ მაზრის უფროსი გეწვია ასიოდე ყაზახ-რუსებით.

აი კიდევ ერთი უსაზარლესი ამბავი. 30 აპრილს—შაბათს ღამით სათევზაოთ წასულან ოცამდე გლეხი და აზნაური ორი ვერსის მანძილზე სადგურ ბელაგორიდან, სადაც პატარა მდინარე ლაფრანა ერთვის მდ. ჩხერიმელას, რომელზედაც რკინის გზის ხიდია გადებული. ამ დროს, ცა-მოწმენდილ მთვარიან ღამეში თევზი, სახელდობრ ტობი, ეტანება პაწაწა მდინარეებს, რასაც აქაურები „ტობაობას“ ეძახით. როდესაც მეთევზეები ხიდს ქვეშ და მის გარშემო ყოფილან იმ დროს ამოუვლია საქონლის მატარებელს, რომლის ობერ-კონდუქტორს შეუნიშნავს ხალხი და შემდეგ სადგურ მარელისში უცნობებია, რომ ამა და ამ ალაგას ხიდს ანგრევენო. მარელისიდან ტელეფონით უცნობებიათ ბელაგორში გასაგებათ თუ რამდენათ მართალი იყო ეს. რა წამს ჩასმენია ხიდის ნგრევა სადგურის უფროსის მორიგ თანაშემწეს ჩეჩელაშვილს, არც უციებია, არც უცხელებია და პირდაპირ იქ მდგომ დარაჯს სალდათებისათვის მიუმართავს „საშველათ“.

აფიცერს გაუგზავნია 6 სალდათი, უნტერ-აფიცრის უფროსობით, ღამე იყო მთვარიანი—დღესავით. სალდათები მისვლის-თანავე შემდგარან ხიდზე და იქიდან, გამოუკიაფავათ, დაუშენიათ დოფები ქვეშ მდგომ ხალხისათვის. მოკლული აღმოჩნდა სამი გლეხი: პ. ფუტკარაძე—უადგილ მამულო, ორი პატარა ვაჟების პატრონი (8—11 წ.), ცგოვრებაძე 14 წლისა სამინისტრო სკოლის მოწაფე, ციცქიშვილი 23 წლისა, ერთიც ქავთარია მძიმეთ არის დაჭრილი და ხუთი მსუბუქათ. სამი კაცი მაშინათვე დაიჭირეს სალდათებმა. ამ კატასტროფის შემდეგ უნტერ აფიცერს უცნობებია ბოქაული-

სათვის. ამ უკანასკნელს გაუგზავნია ყაზახ-რუსები, რომლებიც ყარაულობდენ მკვდრებს ნაშუადღევის პირველ საათამდის —გამომძიებლის მოსვლამდის. ყარაულობის დროს, დღე, ყაზახებმა დასჭრეს თორმეტი წისქვილზე მიმავალი გლეხი და ორიც დაიჭირეს ლიანდაგზე მიმაკილი. ხუთივე დაჭრილებს იმ დღესვე ზესტაფონის ციხეში უკრეს თავი,—ხოლო გამოძიების შემდეგ ხუთივენი გაანთავისუფლეს. გამოძიების დროს ფუტკარაძეს ბადის ხიზი (ბაწარი) მაჯაზე შეპრილი უნახეს და ჯიბეში მისვე საკერავი ძაფები,—ხოლო ბადე არსად იყო. დილა ადრიან ბადე კი იქვე სილაზე ე დო ფუტკარაძესთან ერთათ. მკვდრები ფეხ-შიშველნი და ფაქიზათ დაკაპიწე-ულნი ეყაოენ სილაზე. საშინელი შემაძრწუნებელი სურათი იყო. ხალხის ქვითინს და მშობლებ-ნაცნობების ხმამაღლა ტირილს მხოლოთ გულქვა ადამიანი თუ გაუძლებდა. სხვა რალა გაუმტყუნოთ, როდესაც ვილაც ვაჟბატონი ვითომ და „ხარაგოულელი", რომელსაც ხარაგოულელებთან არაფერი საერთო არ ჰქონია, რიგორც მისი ორესპონდენციით გვამცნებს, აბდა-უბდას ფენს „ივერიის" ფურცლებზე

ნაპერწკალი.

—

ს. კურდღელაური. (თელავ. მაზრა).

ამ სოფლის შესახებ არაფერი თქმულა ჩვენ გაზეთში. კურდღურიც არ ჩამორჩა სხვა სოფლებს გამოდვიძება-გამოფხიზლებაში. მასაც ჭქონდა რამდენიმე ურიდობა თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლათ; აიდეს, დაიდეს და შუადღეისს მოთხოვნილებანი. 3 აპრილს სოფლიდამ გაგზავნილმა არჩეულმა კაცებმა მიიწვიეს თავიანთ სოფელში მემამულეები მოთხოვნილებებზე ხელის მოსაწერათ, რაც ასრულებულ იქმნა, რასაკვირველია, ბევრი ჯავრობა-დაპარაკის შემდეგ. თავად-აზნაურთა მომეტებული ხელვება-უსიამოვნობა უფრო შემდეგმა გამოიწვია: გაჩნდენ ამ სოფელში მავნე, ცრუ ხიერები, რომელიც ცდილობდნენ აელეყვებინათ სხვა და სხვა ჭორების გავრცელებით ერთი მხრივ მემამულეები და მეორეთ-გლეხობა, მოეხდინათ სხვანაირი შეტაკება და სისხლის დვრამდის მიეყვანათ საქმე, თვით კი შორიდამ სეირისთვის ეყურებინათ. მაგრამ შეგნებულმა, ხალხის ნამდვილ კეთილ დღეობის მოსურნე ხიერებმა დასთრგუნეს მტრობანი, ჭკვიანური დარიგებით სწორე გზაზე გაიყვანეს გლეხები და დროზე მოუსწეს ცრუ აგენტებს საშვალება ბორტი სურვილების განხორციელებისა. გაიარა მას აქეთ თითქმის ერთმა თვემ. 27 აპრილისთვის დაბარებული იყო ს. კურდღელაურის გლეხობა ამაყე სოფლის ეკლესიის ეზოში თელავ. მაზრის. განკარგულებით, დილის 10 საათზე ჩავიდნენ დანიშნულ ადგილს მაზრის უფროსი, თავად. ა.ზნ. წინამძღვარი-ჩოლაყაშვილი, თან ყავდათ ბოქაული და ორი სტრაჟნიკი. მისალმების შემდეგ მაზრ. უფრ. გამოიხმო ხალხიდამ რუსულის მცოდნენი. როდესაც ისინი წინ წამოდგენ, უფროსმა მიმართა გლეხებს: თქვენ მიუცვივდით ამისწინათ თავად-აზნაურებს და ძალით მოაწერინეთ ხელი რაღაც მოთხოვნილებაზე. განა არ იცით, მაგ ძალ-მომრეობით ვერაფერს გახდებით? გარდა ამისა წითელი დროშით დახვედოდით და ყვიროდით რაღაც უცნაურ სიტყვებს, რომლის შინაარსი არც კი გესმით. თქვენ შეიძლება გსურდათ გაგეგლოთ დროშით, მარა მე თქვენი კეთილ-დღეობისათვის დავტარე კაცები და გავარკვიე ხმა, რომ თუ კურდღელაურელები ამოვლენ ქალაქში უწესობების მოსახდენათ, სალდათები აუცილებლათ თოფს ესვრიან და ყველას დახოცვენ. გასწრა ამან და მარიდა ალარ ამოხვედით იქ. თქვენ ქალაქს თითქმის ზედ აგვრიხარით და ამიტომ უმეტესი ნაწილი თქვენგანი ტოტათი, თუ ბევრად უფრო შეცნებული ხართ, ვიდრე სხვა სოფლების გლეხობა, მიუხედავათ ამისა, თქვენ უმეცრება გამოიჩინეთ. მაგალითად, დაჟინებით თხოულობდით, რომ თ. ვახვახოვს დაებრუნებინა თქვენთვის რადაც ხარის ტყავზე დაწერილი «ცრემლი,» რომლის ძალით მითომ ზოგიერთი მათი მამულები თქვენ სავსებით მიგეკუთვნა. გასწავლეს ვიდაც „დურაკებმა" სიტყვები, რომელიც თქვენ არ იცოდით და ბევრი სხვა სისულელე. თქვენ უცბათ გამდრიდრება მოგინდათ და ის საქმე დაგემართებოდა თქვენ აგილ-მამულების დაუოფის დროს, როგორც მოუვიდა მეგობარ ძალდების ერთი ძვალის გადაგდებაზე.

მე ჭკვიანებათ, გონიერათ მიმახნდით, მაგრამ თქვენმა გადაწყვეტილებამ (თავადებთ აკლების შესახებ) მაიძულა სტრატეგიები დამეყენებინა მათთვის უბედურების ასაცდენათ. მაინც და მაინც თქვენ შედარებით სხვა სოფლებთან უფრო ბატონსახა მოიქცით, ან მე წარმოგიდგენთ ოთხ მუხლს, რომელსაც უნდა დაემორჩილოთ მთელი სოფელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალით აგასრულებინებთ.

1) უნდა ზღოთ ზარალი, რომელიც მიაუენეთ სოფელს და თავად-აზნაურობას. ზარალი რამდენია, ჯერ არ ვიცით ნამდვილათ, ამიტომ უნდა შესდგეს კომიტეტი, რომელიც გამოიგვლევს მას.

2) თქვენ არ გსმენიათ სრულებით რა არის თავისუფლება. იმის მშვიერად, რო დახმარება გაუწიოთ მოძმეებს, დუგმას ხიერადმ გლეჯთ: არ ბძლევთ ნებას მოჯამაგირეთ დაგრომისას, ვინც იდგა—გამოიეყვნეთ უეყლა. მოსვეთ ამისთანა სიტყიელი.

3) მე არა მჯერა, რომ ყოველივე ამ უწესობების ჩამდენი თავის-თავათ გდგებიი იყვენ. ვიცი გჯერათ რომ არიან ვიდაცა „მერზავეცები" და „პრასვოსტები," რომელიც ჩამოდიან თქვენთან თელავიდამ და ათას სასაძაგლეს გასწავლიან, გაამბოხებენ. თუ არ გინდათ, რომ ვიხმარო თქვენზე ძალა—უნდა გასცეთ ისინი, ვინც მაგისთანა უცნაურ და სასაზარდო აზრების ავრცელებენ თქვენში. მეოთხე ის, რომ არ მიბაძოთ სხვა სოფლებს და მათსავით არ გააუქმოთ სასოფლო სამმართველო, არ დაკეტოთ სკოლა და სხვ., რისთვისაც დიდ მადლობას მიიღებთ როგორც გუბერნატორიდამ, ისე ჩემგან. გაძლევთ დრო მოსათქრებლად ყოველი ჩემი ნათქვამის შესახებ და ბასუხი უნდა მომცეთ, როდესაც ჩამოვალ თქვენთან. (დრო არ დაუნიშნავს).

ხალხსაც უნდოდა თავისთვის მხრივაც ერთქვა რამე მაზრის უფროსისთვის, ხიერის-ხიერ აუხსნაო, აეწერათ თავისთვის სულის შემხუთავი მდგომარეობა, გამოეთქვათ გულ-ახდილათ მიზეზი დღევანდელი მათი მღელვარებისა, მაგრამ უფროსმა ეს არ დაუცადა—არა მცალიან, ახლა სხვა სოფლებში მივეშურებიო, ჩაჯდა ეტლში და თვალს მიეფარა.

დარჩენ საცოდავი გლეხები ხიერში დაგუბებული წყლით, ეულში მოწოდებლი სისხლით. გულ-დაწეწვეტილებმა ეს-და მაძახეს წამსვლელს: თუ კი ჩვენ, ამოტყლა ხალხმა მოვიცადეთ თქვენთვის, მოვცდით მთელ დღეს მუშაობას, თქვენ რომ ერთი საათი მოცდენიაეყოთ განა დიდი რამ იქნებოდა!

ეგ დაღონებული, სუ რო ჩაგეძახის რა არის „ერთობა",—ბა, ბიჭებო, ერთობა მაშინ იქნება ჩვენი, როდესაც არ გავცემთ, ერთმანეთს დაუმატა ერთმა გაწაღარებულმა მოხუცმა. ცოტა ხანს კიდევ მოიცადეთ არაკებს თავიანთ საქმეზე და შემდეგ მშვიდობიანათ დაიშალნენ.

მეოცე საუკუნე.

რუსეთის ქრონიკა

1 მაისის წინა დღით «შავი რაზმის» ერთი ნაწილი ოთხში შეუვარდა ობუხოვის მუშას, სტეპა-მასხეინძელს, გათოკა იმისი ცოლი და მოიტაცა რაც გაჩნდათ დარიბ მასხეინძლებს.

—

პეტერბურგის სტიმბების მუშებმა 1 მაისს კრება გამართეს

«ნოვაია დერევნაიში» და გაღასწუვიტეს იუქმონ ყოველ წელიწადს ბირველი მაისი და სულა წიმიდის მოფენის დღე: კრებას 150 სტამბაში მომუშავე დასწრო.

—

სწორეთ იმ დღეს როცა გაზ. «ს. ო.»-მ გამოაქვეყნა სუვოროვის ნაწილის სტუსაღო სახლში მომხდარი „შიშიდობა“ 32 ტუსაღი მუშისა, ზემოხსენებული სტუსაღო ინახულა ბროკგაუზის ამხანაგმა და განკარგულება მოახდინა დაეკმაყოფილებინათ უმეტესი მოთხოვნები ტუსაღებისა.

—

30 აბრილს ქალ. გროდნოში ვიღაცა ბალტის სესიამ გაართო სამე ოთხ ბოლიტიკურ დამნაშავეთა: იოანე ალტარეზენი, რაქილ გინშენის, სტანისლავ უშიდოს და ივ. ივაშჩუკისა. ყველა ამათ ბრალდებიდათ აარადით წინააღმდეგობის გაწევა ბოლიციის მთავრობისათვის 1904 წ. ოქტომბრის მანიფესტაციის დროს ბელოსტოკში. უშჭელოს კი გარდა ამისა ბრალდებოდა ბელოსტოკის ბოლიციმეისტრის მოკვლის განზრახვა. ბირველი სამი ბრალდებული გაანთავისუფლა სასამართლომ, ხოლო უშჭელოს 2 წლის და 4 თვის ციხე მიუსაჯა.

—

17 მაისს ბეტერბურგის სამოსამართლო ბალატამ უნდა განიხილოს საინტერესო საქმე 16 კაცისა, რომელთაც ბრალდება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მომქმედ საზოგადოების წევრობა. ბალატამ 55 მოწმე უნდა მოიწვიოს. საქმე დაახლოებით 4 დღეს გაგრძელდება. ბრალდებულებს იცავენ ნათელი გვარები: ანდრეევსკი, დემიანოვი, გორდონი, ვალიცკი და სხვა.

—

ირკუტსკიდან ატყობინებენ „რ. ვ.“, რომ აქ, გუბერნატორის განკარგულებისამებრ, დაუხურავთ საზოგადო კრების დარბაზი. დარბაზის კარებზე ბეჭედი დაუკრავთ და სამხედრო დარაჯები დაუყენებიათ.

—

ქ. ვერხნეუდინსკში 2 მაისს გაიფიცა ათასამდე მუშა ბამბის ფაბრიკის „კასპიის მანუფაკტურა“ რეშეტნიკოვისა. მუშათა მოთხოვნილება სულ ათი მუხლისაგან შესდგება.

1) რვა საათის სამუშაო დღე.

2) ხელფასის მომატება 13%-ით.

3) დღიური მუშა უნდა იღებდეს არა ნაკლებ 50 კაპეიკისა.

4) უზრდელი მოპყრობისათვის მქნოველთა უფროსის დათხოვა.

5) ბინის ფული თვეში 5 მანეთი.

6) მუშათა წარმომადგენლის მიღება.

7) ბიბლიოთეკის, სამკითხველოს და თავშესაფრის დაარსება.

8) ითბო ფაბრიკებში არ უნდა აღემატებოდეს 18°R.

9) კარგი დირსების საქონლის ძღება.

10) დგიმის გაჩერებისათვის საათში 4 კაპეიკი და ჯარიმის სრული მოსპობა.

მიუხედავათ მუშების მშვიდობიანი განწყობილების, ამ წამში გამოწვეულ იქმნა ჯარი, რომელიც ფაბრიკის შენობებში დაბინავდა. ფაბრიკის ადმინისტრაცია დასთანხმდა მუშათა მოთხოვნილების ასრულებას გარდა 1 და 4 მუხლებისა, ხოლო მუშები თავის გადაწყვეტილებაზე დგანან.

ამ დღესვე გაიფიცენ ყველა მებოჭკეები. მათი მოლაპარაკების შედეგი ჯერ გამოურკვეველია.

—

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ რუსეთში შედგა ახალი ბარტია, ახალგაზრდა წეს-წყობილების მომხრე, რომელსაც სათავეში ვიღაც შეხვი უდგას. ჟურ. „ბრავო“ არწევს შეხვის ბარტიის ბროგრამას და ამტკიცებს მის იდეურ საკოტრეს. ჟურნალი სხვათა შორის ამბობს:

შეხვის ბარტია ერთის მხრით ქედს იხრის და მუხლს იდრეკს რუსეთის არსებულ წესდებულების წინაშე; მეორე მხრით— მას სურს შემოიდოს ნიადაგ ათრებული კონსტიტუციური კარანტაები რუსეთის მომავალ სახელმწიფო წყობილებაში.

ბროგრამის ავტორები ბეკითათ ცდილობენ, რათა საერობო რჩევის ახრი ბირ-და-ბირ მოხსენდეს მეფეს რჩევის თავმჯდომარის მიერ. როგორც ეტყობა, მათ გონიათ, რომ ამ გვარ ბირობებში საერობო რჩევის ახრს იგივე მნიშვნელობა ექნება ფაკტიურათ, როგორიც იურიდიულათ ბარლამენტის გადწყვეტილებას აქვს ხალხზე.

სახელმწიფო საერობო კრებას იგინი ავალებენ სახელმწიფოს ბიუჯეტის განხილვას და, ასე განსინჯეთ, სხვა და სხვა დაწესებულებათა მოქმედების თვალ-ყურის დევნებასაც. ამათი ახრით, ასეთი განხილვა „უცილებლათ საჭიროა საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის“. იგინი, როგორც გავს, ორ ცნებას—განხილვა და კონტროლი—ერთმანერთში ურევენ...

ჩვენ გავიცანით ბ. შეხვის ბროგრამა და მაინც ვერ გავიგეთ, როგორი ბოლიტიკური იდეალი დაუსახავს ზემოხსენებულ ბარტიას.

ჩვენ მხოლოთ ერთი უნდა ვურჩიოთ ამ ბროგრამის შემდგენელთ, რომ მათ ეშსახურონ ან დემერთის ჭეშმარიტებისას, ან დემერთს წარმართთასა.

„რ. ვ.“

—

ამ ბოლო დროს რუსეთში დაარსდა ქალთა თანასწორობის კავშირი. ამ ერთი კვირის წინათ მოსკოვში შესდგა საერთო კრება, რომელსაც დასწრენ მთელი რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან გამოგზავნილი ქალთა კავშირის დელეგატები. კრება დამთავრდა 7 მაისს მრავალ რიცხვოვანი მიტინგით, რომელსაც 500-ზე მეტი ქალი დასწრო. მრავალი სიტყვა წარმოითქვა ამ მიტინგზე. იდავრაკვს იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ქალი შრომის სხვა და სხვა დარგში. სიტყვა წარმოსთქვეს სხვათა შორის მუშა-ქალებმაც და ერთმა ხელზე მოსამსახურემაც.—მიტინგზე შემდეგი დადგენილება იქნა მიღებული:

„ჩვენ ქალები შევიკრიბენით 7 მაისს საერთო მიტინგზე მოსკოვში, მოვისმინეთ მრავალი მოხსენება, რომელთაც ერთხელ კიდევ დაგვისურათეს რუსეთის ხალხის უუფლებობა და დაჩაგვრა. ასეთ ბირობებში ცხოვრობენ ყველა კლასის და ბროფესიის ქალები, რომელთათვისაც განსაკუთრებით სუტანელია ეს მძიმე ცხოვრება, ვინაიდან იგინი იძულებული არიან მამა-კაცებივით იბრძოლონ არსებობისათვის, ჩვენ გვახსოვს იმ ქალთა ალდგმა, რომელთაც მოახერხეს მიეღწიათ პოლიტიკურ ბრძოლაში კაცობრიულ უფლებების მოსაპოვებლათ და ამ წმიდა მიზანს შესწირეს თავისუფლება და სიცოცხლე და ერთხმათ ვაღიარებთ, რომ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება არ შეიძლება მანამდე, სანამ პოლიტიკურათ არ გათავისუფლდება საერთოთ ჩვენი სამშობლო. ის უფლებები, რომელნიც ქალთა მამა-კაცებთან გათანასწორებისათვის აუცილებელია ჩვენთვის, მხოლოთ მაშინ მოგვენიჭება, როცა რუსეთის წყობილება ძირიან-ფესვიანათ შეიცვლება და დამყარდება საერთო თავისუფლებასა და თანასწორობაზე, განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა“.

მიტინგმა სხვათა შორის გადწყვიტა მოითხოვოს დაუყოვნებლივ ომის შეწყვეტა, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორ, ფარულ და ბირ-და-ბირ არჩევნების წესით, განურჩევლათ სქესისა, ეროვნების და სარწმუნოებისა მანამდისინ კი სვინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრებების თავისუფლება, ბინის და ბიროვნების ხელუხლებლობა და ყველა პოლიტიკური და რელიგიოზური

დამნაშავეების განთავისუფლება; შეიცვალოს სოციალურ-ეკონომიური პირობები რუსეთის მცხოვრებთა უმეტესობის სურვილის და ინტერესებისამებრ; მიეცეს ქალებს მამა-კაცებთან სწორი უფლებები, როგორც სამოქალაქო, ისე პოლიტიკურ საქმეებში, ქმრიან ქალთა-თვის უფლებათა შეუზღუდავათ, უკლა სიფეხურის ქალთათვის თანასწორათ და სხვა და სხვა.

—

მაისობის გარშავში მომხდარ არეულობის დროს ვიტკოვის მოედანზე 5000 კაცი შეკრება, რომელსაც აქეთ-იქიდან ჯარი მოადგა და ხმის ამოუღებლივ თოფები დაუშინა. ერთი სროლით მოკვდა და დაიჭრა 106 კაცი. სმის დღის განმავლობაში გარშავში მოკლეს და დაჭრეს 500-ზე მეტი კაცი („Р.“).

პასუხათ ილია ჭავჭავაძეს.

გავიდა მცირეოდენი ხანი ჩემი კორესპონდენციის (მოგზ. № 13) დაბეჭდვის შემდეგ და ბ-ნმა ილიამ, რასაკვირველია ჭავჭავაძემ, მთავისებურის რიხით «ივერიის» მე-55 ნომერში აუწყა სრულიათ ივერიას, რომ დიდი იერიშისათვის ვემზადები და ეს მხოლოდ მოწინავე შეტაკება ანუ მტრის დაზვერვა არისო. გავიდა კიდევ რამოდენიმე დღე და ქვეყნიერობამ იხილა სასწაული: ერთ დღეს დაიბადა ორი «ივერია», «ივერია» ძველის ბატონისა და „ივერია“ ახალი ბატონისა, ე. ი. ნამდვილი „ივერია“ და „ივერიის“ დამატება. ამით ბატონმა ილიამ ერთხელ კიდევ მისცა საზოგადოებას საშუალება თავისი სულიერი ავლა-დიდების გათვალისწინებისა. პასუხი იმისი ბრაზ მორეული, მტყუანი კაცის ოინებს უფრო წააგავს, ვიდრე მართალი ადამიანის დინჯსა და დალაგებულ საკამათო პასუხს. მაგრამ, ეს ხომ „არ ახალია, ძველია“ ილიას ოინბაზობაში. ერთათ ერთ თავის გასამართლებელ იარაღათ და სიმართლის აღსადგენ-დასამტკიცებლათ, ილიას მოპირდაპირე ადამიანის მასხარათ აგდება და ლანძღვა-გინება აქვს მიჩნეული, რის საუკეთესო მაგალითს მისი პასუხი წარმოადგენს. დეე ფლობდეს ამ არა სახარბიელო იარაღს, ჩვენ არ შევეცილებით. მაშ რა ქნას ქარც გამოლეულმა, მტყუანმა ადამიანმა, თუ რომ ოინბაზობას არ მიმართა, მით უმეტეს, როცა კაცი შეჩვეულია ასეთ ადვილ ფანდებს. სხვის საბუთების გადამახინჯ-გადმომახინჯება, ლანძღვა-გინება, თავისი საბუთების ერთმანეთში დომხალივით არევა, გაგრძელებ-გაჭიანურება და შიგ ყალბი საღებავებით დაფერილი დარფა-დარფა, მოქარგულ-მოხატული ჭრელ-ჭრელი, წუთისოფელ მოკმული ლათაიების ხმარება ილიას თავის გამართლება გონია და ამითი უნდა შეამსოს ყოველივე ნაკლი თავისი საკამათო წერილისა მოპირდაპირე ადამიანის მიმართ. მერე ამაყათ ინდაურივით გაიფუყოს და საზოგადოებას თავ-მოწონებით შეძახოს: აბა შემომხედეთ მე და ჩემ დიდბუნებოვან ნიჭს რა გაგვიმაგრდება ქვეყანაზე, ხედავთ როგორ მოვუგრიხე კისერი ჩემს მოპირდაპირესო? განცვიფრებული საზოგადოება (საზოგადოება ილიასი) პირ-ჯვარს იწერს და ღაღადებს:

„ამას ვერა ჰგავს ვერავინ, გრძნობის მცოცხლები მწერალი,
დომია ოდეს განრისხდეს მარად ძმობისა მდერალი,
იტყვის მწყრწსა და ჯნიანსა, უბერაა მართალის მწერვალი,
არის გულ-წრფელი, ზნე-ქველი მხნე, მსრბოლი, მოუფერალი.“

და მგოსანი იმით წახალისებული და დაიმედებული, რომ ამის შემდეგ ზოგნი მოკამათენი გადიკარგებიან უკვალოთ, ზოგნი უდროოთ გამოესალმებიან წუთი-სოფელს, და ზოგნიც დევნილნი სამშობლოდან სხვა ქვეყანას შეეფარებიან, ყოყოჩობს ვითარცა გამარჯვებული ყვინჩილა. მაგრამ ხალხის საბედნიეროთ ილიასთანების სავალალოთ, ბევრი მის გვარი ცრუ კერპი დაამსხვრია დღევანდელმა ცხოვრებამ და ჩრათ მოდის მგოსანს ჯავრი, თუ თანამედროვე ცხოვრების ქარტეხებში დაბეჩავებულმა საგურამოელმა გლეხებმაც წინ გაუსწრეს მას. ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი სიმახინჯე და აზრით ჩამორჩენა «მოგზაურის» რედაქციის და მისი კორესპონდენტების ბრალია? მაშ რატომ ასე ურცხვათ და თავზე ხელ-აღებულათ გვაბეზღებს და ბრალსა გვდებს, «ხალხი აგვიმხედრესო»? თუმცა ილიას ფანდები აშკარაა ახლა ყველასათვის, მაგრამ მე ილიას არ შეუშინდები და ნურც იმედს იქონიებს, რომ გავექცე, თუნდ ამაზე უარესადაც დამაბეზღოს, რადგანაც სიმართლე ჩემს მხარეზეა და «ვისაც სიართლისთვის სიკვდილი დაზარებია, იმას დედის ძუძუ შხამათ შერგებია».

აი რა შესავლით იწყებს ილია თავის ვრცელ წერილს: «ივერიის» მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ „მოგზაურში“ № 13 დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელსაც თუმცა სათაურათ ჰქონდა „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, მაგრამ უფრო მე ვყავდი მიზანში ამოღებული და ჩემი ადამიანური ღირსება.. (რატომ აგრე გგონიათ ბ. ილია? და თუნდაც, რო აგრეც იყოს ,,ბურჯი საქართველოსი‘‘ რისთვინა ხარ თუ ყველაზედ მეტი არ მოგეთხოვოს!) ავტორი ,,მოგზაურის‘‘ შემწეობით მე მაბრალებს,—ვითომც მხეცურ გულქვაობით და სამარცხვინო ავზნეობით ვებყრობოდე საგურამოს გლეხ-კაცობას და ამისათვის ერთმანეთზე ცოტათ თუ ბევრათ შეუწყნარებელს ამბებს მოგვითხრობს ისეთის კადნიერებით, თითქოს მართალია (?) და ისეთის გახარებით თითქოს ოქროს მადანი უპოვია‘‘-ო და სხვა... ,,თათარს სიზმარში ფლავი აგონდებოდა‘‘! ილიას საქმეც ასეა: სულ ოქრო და ოქრო, მაგრამ ეს სიმახინჯე ბანკის ბრალია.

,,მოგზაურის‘‘ № 13 დასტამბული წერილი, რომელსაც თქვენ ასე უსაზღვროთ აუღელვებიხართ და რომელიც თქვენის ფიქრით ვითომ კიდეც გააბათილეთ, სრული ჭეშმარიტებაა, რასაც ქვევით განვიხილავთ ცოტაოდენი ახალი ამბების დამატებით, მანამდე კი მოვუსმინოთ სიმართლის მგოსანს!

«მართალია (განაგრძობს ილია) გლეხ-კაცი უფრო შესაბრალისია ვიდრე თავადი და აზნაური, მღვდელი ან ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? (ბატონო, იწამეთ ღმერთი დაიჯერეთ, გლეხი თქვენ ადამიანობას არ გართმევთ, პირიქით, სისხლსა ღვრის ქვეყანაზე ადამიანობის დასამყარებლათ და თქვენც იყავით ადამიანური გრძნობისანი, ნუ შეუშლით ხელს მას ამავე უფლების მოპოვებაში) განა ცოდვაა-ო (მოგვიწოდებს ილია) ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ! (ნეტა ვიცოდე მაშინ რაღას ფიქრობდი როცა წერდი: „რომ ბედში მყოფი შენ ძმათ მიგაჩნდეს ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს ვინც ბედისაგან დაჩაგრულია») გვიბძანე შენს სადღეგრძელოთ: მაშ ვილასთვის წერდით ამას?) რაკი ცხოვრებას გლეხებთან ერთათ ესენიც გაუჩენია (განაგრძობს ილია) სამართლიანათ თუ უსამართლოთ, ერთი კალმის მოსმით გვინდა დედამიწის ზურგიდან წავშალოთ—მართალია თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა, მაგრამ თავად-აზნაურობას, ვით კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა (ახირებული ხასიათისაა ეს ჩვენი ილია, ვინ გეწინააღმდეგება ბაგაზე). ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლით წიხლი არა ჰკრას თავადს ან აზნაურსა ან მათ ხსენებაზე დორბლები არ წამოყაროს და სხვა“... აი ბატონებო ხომ ხედავთ ილია სადამდის მიუყვანია სასოწარკვეთილებას, რომ თავისი საკამათო საქმე დროებით გვერდზე გადაუდვია, სრულიათ უადგი-

ლოთ მთელი თავად-აზნაურობის ვექილ-აპეკუნობა უკისრია. ესეც არ უკმარნია ბ-ნს ილიას: ბრწყინვალე წოდებისა და მათი საქმეების დასაცველათ თავისი ზრუნვა-პატრონობა მცირეთ მოსჩვენებია და ყველა კაცს იწვევს ამ ასპარესზე სამოქმედოთ. მაგრამ თუ ამავე დროს ვინმემ გაბედა და ილიას ნებადაურთველათ გლეხების სასარგებლოთ კრინტი დაძრა, ვაი მის გაჩენას! ან თუ გლეხებმა, ყელში თოკ წაჭერილებმა, სულის მოსაბრუნებლათ გაიფართხალეს, ურცხვათ და საქვეყნოთ გაჰკივის მაბაზღარის ჰანგზე: «აბა მიშველეთ, გლეხები ამიმხედრეს გლეხებს მისევენო»! აი ილიას ჩვეულებრივი ხერხები და მრავალჯერ ნაცადი მწერლური ოინბაზობა! ყველა ამეების შემდეგ, ბრაზით გული უსკდება, ჯავრი მოსდის, როცა მის ნასროლ ტალახზე და ბეზღობაზე გლეხები ია ვარდის თაიგულს აღარ ესვრიან, და ბრმათ აღარ აღმერთებენ. გაქრა ძველი დრო დიდებულო მგოსანო! გაქრა და ჰკუასთან შორს იქნება იმის დაბრუნებაზე ოცნებობა. რაც შეეხება ილიას ნათქვამს, ვითომც ჩვენ გლეხები აუმხედრეთ, ეს ისეთივე სიცრუე ცილის-წამება და დაბეზღება არის როგორიც სხვა მრავალი მისგან ჩადენილი, რასაც აქვე დავამტკიცებთ ილიას სავალალოთ და გასაწითლებლათ. რომ უფრო საბუთიანი იყოს ეს დამტკიცება უმჯობესია მთავრობის კაცი, ჯარის უფროსი ნიკოლოზ თევდორის-ძე კადურინი ვალაპარაკოთ. ექ ს გარეშეა აღნიშნული პირი გლეხებს არ გამოესარჩლებოდა თუ კი მათ იოტის ოდენა დანაშაული ექნებოდათ. კადურინი სწერს დუშეთის მაზრის უფროსს: საგურამოში სამაგალითო სიწყნარე და სრული სიმშვიდე სუფევს, თუმცა გლეხებს ყოველივე კავშირი გაწყვეტილი აქვთ მემამულეებთან. ყოველგვარ ძალმომრეობას გლეხები ძალიან ერიდებიან; ჩვეულებისამებრ შრომობენ თავიანთთვინ და გთხოვთ განკარგულებას, რათა ჯარი უკანვე გაიწვიოთო. იგივე კადურინი აი რა პასუხს აძლევს მემამულე სტაროსელსკის ამ უკანასკნელის თხოვნაზე. (სტაროსელსკიმ სთხოვა საგურამოელების აკლება-დაწიოკება) „მე ჩემო ბატონო ჩემი ინსტრუქციით ვმოქმედობ, რაც საკმაოდ კარგათ მესმის და თუ თქვენი გლეხები თქვენთან არა მუშაობენ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ უწესოებას რამეს ახდენდენ ან ძალ-მომრეობას რამეს სჩადიოდნენ. მიჩვენეთ რამე ძალმომრეობა, რომ დავსაჯო კლეხები, თორემ ისე მარტო თქვენი სურვილით უდანაშაულო მშრომელი ხალხი დავაწიოკო ეგ ჯერ საჭირო არ არისო. და მართლაც, ილიას გულ-გასახეთქათ და საგურამოს გლეხების სასახელოთ, ამიერ იმიერ საქართველოში ბევრი მაგალითი არაა რომ ასე ერთობით, ასე თავ-დაჭერით ემოქმედოთ გლეხებს. მხოლოთ ზიზღი კი დიდი აქვთ ბატონებისა „აქედან რომ გადაგვასახლონ, მაინც ჩვენ მემამულეებთან არავითარ კავშირს აღარ ვიქონიებთო“ ასე გაიძახიან ტყავ-გამძვრალი გლეხები. პირიქით გლეხები თითონ ყარაულობენ მემამულეების ქონებას, რათა პატრონებმა არ დაწვან და ჩვენ არ გადმოგვაბრალონო. გლეხებს მხოლოთ ის უნდათ და იმას აქცევენ სასტიკ ყურადღებას, რომ მათი მოძმე არ გამოვიდეს პირის გამტეხი. მაგრამ აქაც, გლეხებთან პირადი ანგარიში არ აძლევს ილიას მოსვენებას. მაშ რის ბანკირია ილია, თუ რწყილს არ გაატყავებს და, შემთხვევით არ ისარგებლებს.

ქვევით ილია მამაშვილურის მზრუნველობით, და გულისტკივილით დაძენს: „და თუ გლეხ-კაცობა დღეს თავისას მაინცა და მაინც არ იშლის და კერძო საკუთრებას ხელს ატანს, ეს ცოტათ თუ ბევრათ შესაწყნარებელია, იმიტი კი არა, რომ სიმართლე რამ მიუძღოდეთ, არამედ იმითი, რომ დღევანდელი მოძრაობა სოფელს ცეცხლსავით მოედო მთელს საქართველოში და ყველა ნებით თუ უნებლიეთ (?) თან წაიყოლია. აქედან ის არ გამოდის, რომ კაცმა დიდის ძწუხარებით არ შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არა მიუძღოდეს რა იმის გარდა, რომ [illegible] და შენ ბევრი დ ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მეორეთოსო. (აი რას შეუშინებია ილია) აბა უკიდურეს სიღატაკიდან, უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა (ვაშა ილიას, გამოცანა ერგება!) რამდენი ერთი მეორეზე მეტნაკლებია; მოდი და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა გლიჯოს და წეწოს მთელ ამ დიდ მანძილზე. კერძო საკუთრება სამართლიანათ თუ უსამართლოთ, ჩვენდა საბედნიეროთ თუ საუბედუროთ (დამშვიდდით ილიავ, უფრო თქვენდა საბედნიეროთ) ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და იმის სარბიელზე ძალ-მომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც უნდ იყოს იაფათ არ დაუჯდებაო“ და სხვა... ხომ გაიგე მკითხველო სად ეწვის ილიას! ახლა როგორ ოსტატურათ აშანებს და უფრთხილდება გლეხებს! აქედან აშკარა საგულისხმოა რაც უდევს გულში ილიას. სახელდობრ ის, რომ კაცმა შემთხვევით უნდა ისარგებლოსო: ესე იგი ილიას შემთხვევა ეძლევა, თავისი ნებართვით და ბილეთით მენახშირეებზე გაყიდული ტყე, რომელიც მართლ-მორწმუნე მაჰმადიანის თავივით გაუპარსნიათ, გლეხებს გადააბრალოს და მკვდარი ცოცხალზე გაყიდოს; რასაკვირველია თუ კი სანატრელმა შემთხვევამ ხელი მოუმართა.

ახლა ილიასაგან ვითომ გამათავლებულ ფაქტებს დაუბრუნდეთ და გავსინჯოთ როგორ თავისებურათ ხსნის ილია მე. ქათმე დედაბრის სამსახურის თავდაუნებებლობას და გაჯიუტებას. უეჭველია აქ დატოვებს ის ჩვეულებრივ ოინბაზობას და დიდებულო მგოსანი გამოიჩენს „მოქალაქეობრივ პირდაპირობა—სამართლიანობას და ადამიანობას“ ე. ი. იმას, რასაც დიდის რიხით სხვისგან თხოულობს და იტყვის ისე, როგორც ნამდვილათ იყო საქმე. მაგრამ, ვაი სირცხვილო! თავადი სხვაში ეძებს ასეთ ღირსებებს, თითქო მისთვის ის საჭიროც არ იყოს. რახან ილიკოს არა აქვს ამდენი გამბედაობა ისევე მე გეტყვით. ხსენებული დედაბერი ილიასთან მსახურობდა, თვეში 3 მანეთათ. არეულობამდე ილიაზედ ირიცხებოდა დედაბრის ჯამაგირი 80 თუმანი. აქედან ცოტა რამე დახარჯული ქონდა ილიასაგან ჭირნახულის წაღებით თუ ტყით, დანარჩენი ისევ ილიაზე იყო. და აი სწორეთ ეს გარემოება აიძულებდა მექათმე დედაბერს ილიასთან დარჩენილიყო და არა ილიას მათლაფების ნარეცხები, ან მისი მოურავის ცოლის ცემა-ტყეპა და თმით თრევა.

ჩავყვეთ კიდევ ქვეყით. ასე თუ ისე ძნის უკან დაბრუნებაზე გვეთანხმება ილია, მხოლოთ თავისებურის „კისრულით“, რამეთუ ჩვეულება ილიასი „რჯულთ უმტკიცესია“. ილიას მტკიცეთ სწამს „მოქალაქეობრივი ვაჟკაცური პირდაპირობა“ და არც ულალატებს თავის რწმენას, მაგრამ იმისი ტყუილები კი არ მაკვირებს; ის უტყუილოთ ისე არ გამოდგება, როგორც თევზი უწყლოთ, კაცი უჰაეროთ. იცის ილია მხოლოთ ორ შემთხვევას ასახელებს ძნის უკან დაბრუნებისას. ერთს ექვსი წლის წინეთ ს. წიწამურაში და მეორეს შარშანდელს ს. გურამიანთ-კარელ გლეხთან. მე კი სამს შემთხვევას ჯერ მარტო შარშანდელს და ისიც ახალსოფლის გლეხებისას მოვაგონებ. წიწნა კანიაშვილისას, ზაქარია ყველაშვილისას და გაბო ინაშვილისას. ვინ გაუბრუნა ძნა ჯერ მარტო ამათ, წასულს ზაფხულს? ესენი სულ ახალსოფლელები არიან და დანარჩენები კი შენ თითონ მოიგონე. გაბო ინაშვილს, რომელსაც ქირის ურჰით მოეტანა თქვენთან ძნა, 2 მანეთის მაგივრათ 6 მანეთი გადაეხადა ურმის ქირა, რადგან თქვენის წყალობით 1 გზობის მაგივრათ 3 გზობა გაეკეთებია. „მეეელე სადღა იყო ძნა რომ

წაახდინეს“-ო თავისებური ჰრელი კილოთი კითხულობს ილია. ეს თავის თავს ჰკითხოს უკეთესი არ იქნება?! რადგანაც საგურამოს ყველა მეშამულეები და მათ რიცხვში ილიაც, მეველეს ისე იმსახურებენ თავიანთ კერძო საქმეზე, როგორც სახლის მოჯამაგირეს და აბა ჩვენ რა ვიცით მეველე, იმდროს, როცა ძნას ახდენდნენ ილიას რომელ საქმეს აკეთებდა. და თუ ამაზედ შენიშნეს გლეხებმა მემამულეს, მაშინ ხომ მშვიდობით, თუ გაასწარ კაი ბიჭი იქნები.

კიდევ ჩავიკითხოთ ქვევით ილიას მიერ ხელის-ხელ საგოგმანები მავალითები. ჯარის მოწვევას ჩემის მხრით აღარავითარი ახსნა და განმარტება აღარ უნდა. მოდი ისევ ილია ვალაპარაკოთ, გავიგოთ რას ბძანებს ამაზე თავის გასამართლებლათ, რომ უფრო კარგათ დავინახოთ მგოსანი თავით ფეხამდე. «მაშ რა უნდა მექნა, როდესაც გლეხკაცობა ჩემზედ ამხედრდა, დაწვა დანიავებას მიქადდა, მოჯამაგირეები გამირეკა, იმოდენა სიმღიდრე (რომლითაც ღირსეულათ ტრაბახობს) უპატრონოთ მელუპებოდა, მოჯამაგირეებს სხვა სოფლელებსაც აღარ მიყუნებდენ (არ დაგავიწყდეთ ეს ჰორი პოეტო) ამიტომ მაზრის უფროსს დახმარება ვსთხოვე და ღმერთმა უშველოს იმანაც ამი'რულა თხოვნა. ამითი მოსალონელი უბედურება, რომელსაც მიმზადებდნენ გლეხების ამხედრებით და მოსვით „მოგზაურის,, რედაქცია და ლილა გახუნებული კორესპონდენტი (ამ სიტყვების შემდეგ დიდებული მგოსანი სხვას სწამებს ჯაშუშობა-დაბეზღებას) და როგორც იყო თავიდან ავიცილე იმათგან მოსეული ღვთის რისხვა. ,,თავისს ვრცელ ოინბაზურ წერილში ილია ჭავჭავაძე რამოდენიმე ალაგას მისაყვედურებს: ტყუილი არ ეხერხებაო, ტყუილს ჰკვა და გამოცდილება უნდაო და თან ქართულ ანდაზას იშველიებს: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. ზემოთ მოყვანილმა ხელოვნურმა ჯაშუშობამ „მოგზაურის“ რედაქციის და ჩემ შესახებ, ისეთი ფაქი დალდო პატრონსან მგოსანს, რომ შემიძლია თამამათ ვთქვა მის შესახებ: ,,კიდეც შეჯდა მწყერი ხესა, კიდეც იყო გვარი მისი“ მეთქი. მხოლოდ აი რას კითხავს ნამუსიან ილიას უნამუსო კორესპონდენტი: მიპასუხოს, თუ გლეხები ისე აუმხედრეთ და გადაურიეთ, რომ აკლება დანიავებას და გადაჭრა-დახოცვას მაზრის უფროსის მიერ გამოგზავნილმა სტრაჟნიკებმა გადაარჩინეს; თუ იმავე გლეხებმა სხვა სოფლელი მოჯამაგირეები აღარ დაუყენეს, მაშ ვიდრე მისი მსხნელი „სტრაჟნიკები“ მოვიდოდენ რატომ ხელი არ ახლო მის სანაქებო ძ'საიდუმლეს სოფ. კოტორაანთ-კარელ გლეხს ბედუკაძეს ს. ზაქარიელ გლეხს ზაქარა ახობერაშვილს, მებაღე იმერლებს, მოურავს, იმის ცოლს, და მეფუტკრე რუსს, „მოგზაურის“ რედაქციისა და იმის კორესპონდენტის მიერ შენზე ამხედრებულმა გლეხებმა. აბა რაღა გითხრა! კაის მთქმელს, კარგი გამგონეც უნდაო! გაიხსენე ჯარის უფროსის „ოფიციალური“ მიწერილობა მაზრის უფროსთან, მოიგონე იმავე ჯარის უფროსის პასუხი სტაროსელსკის მიმართ და შეუდარე შენს სანაქებო ბეზღობა ცილის-წამებას „მოგზაურზე“ და მის კორესპონდენტზე. ნუ თუ ამის შემდეგ ოდნავ მაინც არ უნდა გაწითლდე?

მაგრამ აი ილიას კიდევ სად მიუგნია სიმართლის წყაროსათვის ჩემდა გასამტყუნებლათ. „მე, თუ საჭირო იქნება და საქმე იქამდე მიმივა თუნდ მაზრის თუნდ საგუბერნიო და თუნდა მთავარ-მართებლის სამ'ართველოებიდან შემიძლიან გამოვიტანო ბეჭედ დასმული დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ამ საქმეში უდანაშაულო ვარო“ ერთის შეხედვით ილია გულუბრყვილო მკითხველს „უსამართლოების ნაღვერდალზე დამწვარ-დახრაკული“ მსხვერპლი ეგონება. მაგრამ აგრე არ არის! ილიამ იცის სად როგორ უნდა მოიქცეს. მხოლოთ მე ღმერთი გამიწყრა და ის ველარ მოვიგონე წინათვე ილიას თუ საქმე გაუჭირდებოდა ზემოხსენებულ დაწესებულებებს მიმართავდა ჩემდა გასამტყუნებლათ, დასაკვირვებლათ და დასასჯელათაც, მაგრამ ჩემისთანა „პაწაწკინტელა კორესპონდენტი“ ისეთ დიდ საქმეს როგორ მოიგონებდა რაც ილიამ საბუთათ მოიყვანა. ეს ხომ მისი მაღალი ნიჭისა და «მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის მონოპოლიაა»! ზემოთ ილიას მიერ დასახელებულ-დაწესებულებებში ხომ ყველაფერი სიმართლეზე, კანონზე, და ღვთის სამართალზეა დამყარებული! იქ იოტის ოდენა «იაღლიშობა და თაღლითობა» არ შეიძლება!

მოუსმინოთ კიდევ ილიას: «საგურამოში არც ერთი მტკაველი სანადელო მიწა არც მე და არც ჩემს მეუღლეს არა გვაქვს, მიწა სულ ზალიკო გურამიშვილისა არის და ისიც, როგორც სნეული ადამიანის მამულ-დედული, მთლათ საეპეკუნოა და არავითარი უფლება არა მაქვს სხვის მიწაზე ან ნება მივცე, ან დაუშალო ვისმე ზეზე სახლების აშენებაო». აი კიდევ ერთი იმ მრავალ ოინთაგანი, რომლითაც ცნობილია ილიკო ჭავჭავაძე. მას ვერ გაუგია, რომ სალმა კაცმა თუ სნეულის სახელით ავკაცობა ჩაიდინოს ესე იგი სნეულს ამოეფაროს და ისე ატყაოს ხალხი, ეს იმ სნეულზედაც უარესი სნეულება იქნება. თადეოზ გურამიშვილის (მამაა სნეული ზალიკოსი და სიმამრი საღი ილიკოსი) სიცოცხლეშიაც, ხომ ზალიკო გურამიშვილი ავათ იყო და აგერა მას აქეთ რამოდენა ხანია, რაც თადეოზი გარდაიცვალა. ვინ ატყუებს სნეულის წილ საგურამოელ გლეხებს, თუ არ ილია ჭავჭავაძე? ვისთან აქვთ საქმე გლეხებს? ილიასთან. მაშ ვინ დააბრუნებინა სნეულის მიწაზედ მოსული ძნა უკანვე წიწამურელ, გურამიანთ-კარელ, და ახალ სოფლელ გლეხებს? მაშ ვინ ემუქრება და აშინებს გლეხებს მათ უსამართლოთ აყრა-გადასახლებაზე თუ არ ილია ჭავჭავაძე? ეს არის ილიასებური «მოქალაქეობრივი სამართლიანობა» და პირდაპირობა, რომ კარგად მყოფი კაცი სნეულს ამოეფაროს. სთქვი მგოსანო სიმართლე, ნუ შიდრკები, თუ კი სოფლათ გლეხებს ეუბნები ხოლმე: „თუ ვინიცობაა გამაჯავრეთ და თქვენი გადასახლება მომიხდა, კარგი სახლების საფასური მეტი მოგინდებაო“. აქ კი თავის სიტყვების დასამტკიცებლათ მოჰყავთ საბუთათ საბძელი და საქათმე. მაგრამ ილიას ყველაფერი ეპატიება. აი წყლის აკრძალვასაც ასე ხსნის თავისებურათ, რადგანაც ჩვენ პატარა შეკდომა შეგვეპარა და ახალსოფლის მაგივრათ ს. გურამიანთ კარი დავწერეთ. ამას იხვევს ილია ხელზე და წყლის მდებარეობაზე და მანძილზე გვითითებს ,,თუმცა თეზამის წყალი იყინებაო, გვეთანხმება, ილია ს. გურამიანთ-კარის პაწაწა წყარო ხომ არ იყინება და ხუთს სოფელს ამ წყაროზედ უთითებს. ან კიდევ „ფშანი და არაგვი ხომ ახლოა ვიდრე კორესპონდენტის მიერ მიუვალ ტყის წყაროს წყლიო. ახლა მე ვასწავლი ილიას იმ ადგილს სადაც ჩემ მიერ დასახელებული წყარო გამოდის და გავზომოთ ახალ სოფლიდან იმ ჩემ მიერ დასახელებულ ტყის წყარომდე და ანუ სოფელ გურამიანთ კარის წყარომდე. (არ ვიტყვი ფშას და არაგვს რადგანაც ესენი კიდევ უფრო შორს არიან). ან ეს ერთიბეწვა გურამიანთ კარის წყარო რას ეყოფა ხუთს სოფელს ან იქნება გივი სტარასელსკი ქეიფზედ არ არის (იმან ხომ ხშირათ იცის ეს) და არ ძიუშვა წყაროზე. ანუ ზევიდან ქვევით სამსე კოკების ზიდვა უფრო ადვილია, თუ ქვევიდან ზევით და მერე ისეთ ჯოჯოხეთ გზაზე, როგორიც არის გურამიანთ კარიდან ახალსოფლამდე ზამთარში. შემდეგ ამბობს ილია: «ხსენებულ დროს განმავლობაში კი-არა შემოდგომიდან გაზაფხულამდე მამაკაცი არამც თუ კოკების დამტვრევით და გაყინვის მიზეზით მომკვდარიყვეს, სხვა მიზეზითაც არ მომკვდარაო.

ამას ამტკიცებს გურამიანთ კარის მღვდელიო». თქვენი მღვდლის სტატისტიკისა კი რა მოგახსენოთ როგორ მიყავს და ამას კი გულ ახდით გაგიბედავთ და მოგახსენებთ, რომ გიგია ბიჩინაურს ანტონა გორგასაძემ კოკები ჩამოამტვრია, გაცივდა, გაიყინა და მოკვდა. ხოლო თუ ამ კაცის სიკვდილი დაეკარგა თქვენს მღვდელს, მაგასაც ჭიზიყელი მღვდლის საქმე დამართნია, რომელსაც თურმე პარასკევი დაეკარგა. ან იქნება კარგათ ვერ დამარხა, მიწიდან ამოძვრა და გაიპარა. თქვენ მაინც არა გგჯერათ: „ავათმყოფმა კაცმა ორი კოკა როგორ დაძრაო“ მიხირდებით და ახლა მეც ეჭვი შემეპარა მიცვალებულის მოუსვენრობაზე. მოდი და ნუ დაიჯერებ, მღვდელიც ამოწმებს! მღვდელი ხომ ტყუილს არ იტყვის თავის დღეში!

ახლა ცოტა-ოდენი საბალახოზე ვთქვათ. ამაზე ხმასაც არ ამოვიღებდი, რადგან ყველამ იცის ამ მხრით გლეხები რა გვარ ცეცხლში არიან მემამულეებისაგან, მაგრამ რადგანაც ილია თავისებურ ოინბაზურათ ხსნის და რადგან „ზაკონის კანონის“ კაცია (არ დაგავიწყდეთ მომრიგებელ შუამავლათ უმსახურნია კარგა ხანს და ეს ხომ იცით რა მძიმე მოვალეობაა). გლეხთა დებულების კანონში დაახლოებით ასე უნდა იყოს საბალახოს საქმე: 1. მემამულეს ჰხოლოთ მაშინ შეუძლია საბალახე გადაახდევინოს გლეხს, თუ იგი ადგილი მხოლოთ განსაკუთრებით საბალახე ადგილათ ითვლება. 2. თუ გლეხს შვიდ სულ საჭონელზე ზევით ყავს. 3. ამისთანა საბალახოში 25 კაპეიკ წელიწადში, მაგრამ ილია თავისი ბაგეებით აღვიარებს: მე 60 კაპ.— 1 მან. ვახდევინებ წელიწადში სულ საჭონელზე ზედაო. მერე იცით როგორ მიწაში, სახნავში, ე. ი. იმ მიწაში, რომლიდანაც მებატონეს თავისი ზურგით მეოთხედი სახლში მიართვეს საჭონლის მოსაბრუნებლათ. საბალახოთ წელიწადში ზემოხსენებული ხარკი უნდა იხადოს გაყვლეფილმა გლეხობამ, ისიც რამდენიმე თვეში, რადგან აქ ზიმთარი უფრო ხანგრძლივი და სუსხიანი იცის და ამიტომ მომეტებული ნაწილი საჭონელი გომურებში ყავთ ჩამწყვდეული ხმელ საჭმელზედ.

უფრო მეტი სავალალო კი ის არის, რომ საგურამოელი მებატონეების მიწები ერთმანეთშია არეული დომხალივით და რამდენიმე დღიური რომ აქ ილია ჭავჭავაძისა არის, რამდენიმე დღიური იმის გვერდზე გივი სტარასელსკის ეკუთნის, მერე ზალიკო გურამაშვილისა, შემდეგ ტატო ციციშვილისა და ტუტუბა სტაროსელსკისა, ასე რომ ხსენებული საბალახე ერთსა და იმავე დროს ყველა აქ ხსენებულ მებატონეებს უნდა სათითოთ აძლიონ, ვინაიდგან, როგორც ზევით მოგახსენეთ მიწები ერთმანეთში არეულია და კაცი ისე ფეხს ვერ გადადგმევინებს თავის ნაჭონჭლს, რომ მეორე მემამულის მიწაში არ გადავიდეს. და ამ რიგათ ყველგვან სათითოთ ისეთაც ტყავ გამძვრალ გლეხებს. აი ასე იქცევა ცხოვრებაში ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც მწერლობაში თავს იწონებს, როგორც გლეხთა გაჭირვებაზე მოსაღრე და მათი მეგობარი. ან კი რა ექნა და როგორ მოქცეულიყო: „ტემისათვის“ მასალა უნდოდა და ცხოველმყოფელი მწერალი თუ პოეტი ცხოვრებაში ეძებს მასალას. ილიამაც ჯერ ცხოვრებაში განახორციელა და მერე დასწერა ქაღალდზე გლეხთა გასაჭირი.

ასე იყო თუ ისე ილიას თავის გამართლება გავიცანით როგორიც გამოდგა. ახლა ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ შევაწუხე ასეთი უსიამოვნო, კერძო კაცის ამბებით, მაშინ, როდესაც კაცი საზოგადო ამბებსაც ვერ ასდის, მაგრამ ეს კურთხეული ილია ძალიან ჭირვეული კაცი ყოფილა: აღარ მეშვება, მემუქრება, „მტყუანს კარამდე უნდა მიყვეო“ და მეც თუ განზე გავექე, ჩვეულებრივათ გათამამდება და მართლა მტყუანს დამიძახებს. ძალაუნებურათ უნდა გავყვე და უყურო, როგორ შევა ილია მტყუანთა სამყოფში. მხოლოთ, მკითხველო, გთხოვ პატარა კიდევ მოთმინება: ახლა ილიას ახალ ოინებს მე კი არა, თითონ საგურამოელები გიამბობენ; დეე იმათ ილაპარაკონ:

ნიკო ისმაილშვილმა ილიასაგან საყანეთ გასატეხი მიწა აიღო იჯარით. მიწა იყო ძველიანი; როცა მიწა გატეხა, ეკალი თავის სახლში წაიღო თონისთვის. მოურავი გაუწყრა და ბატონის სახლში წააღებინა. როცა გლეხმა აუხსნა ბატონს ეს ამბავი, „ძალიან კარგათ მოქცეულა მოურაიო“, უბრძანა ბატონმა და დაითხოვა სახლიდან.

2—ერთხელ ყველა მებატონეებმა პირი შეკრეს ერთმანეთში, რადგან მენახშირეები უფრო მეტს გვაძლევენ ტყეში და უფრო კარგათაც პარსავენ ტყესო, აქაურები კი ნაკლებს გვაძლევენ, თანაც ამათ მეტი ყურადღების მიქცევა უნდა, რომ ზედ მეტი არ გამოიტანონ ტყიდანაო, გადასწყვიტეს აღარ ესარგებლინათ გლეხები ტყით. რასაკვირველია ძალიან გაუჭირდებოდათ გლეხებს, და სწორეთ ამ გაჭირვების დროს ბეგრით სოფლები ილიას წისქვილს უშენებდნენ. ილიაც მიბძანდა ეტლით სამუშაოს დასათვალიერებლათ. გლეხებმა დროს იპოვეს, იშიშვლეს ქუდები და შებღავლეს თავიანთი გაჭირვება: სთხოვეს ნება მიეცა ესარგებლათ თუად ფიჩხით, თუნდ ეკლით მაინც, რომელიც ყოველ გაკაფვაზე სათიბ ბალახივით მოდის. შესჩივლეს, ცოლშვილი სიცივით და შიმშილით გვეხოცებაო. ილია შევიდა შეიწროებულ ხალხის მდგომარეობაში ჩ დათანხმდა მხოლოთ ერთის ახირებულის პირობით. ნებას მოგცემთ გამოიტანოთ საწვავი შეშა, თონის ფიჩხი და იარაღი ურმის მასალათ ზურგით და არა ურმით, ხოლო ისიც შორიდან და არა ახლოდანო. ამაში კი 850 მანეთი გვთხოვა. როცა გამოვიანგარიშეთ, თბილისში ჩატანილი ფქვილი და იქ გამომცხვარი პური უფრო იაფათ და სახემწიფო ტყიდან მოტანილი შეშა ფიჩხი უფრო ხელ მისაცემათ და მოსახერხებლათ გვეჩვენა ვიდრე ილიას მიერ დადებული პირობაო.

3—მიხა ისმაილაშვილს თავის სახლის წინ, ეზოში, შიგ ღობეში, შვილივით გაზდილი თელის ხე ედგა. რადგანაც ტყეები შეკრული იყო მებატონეებისაგან და იმ ხელათ ფული კი არა ჰქონდა ბილეთის ასაღები, იძულებული იყო ერთათ ერთი ეზოს საჩრდილობელი და კარ-მიდამოს ლაზათი მოეკრა და გუთანი გაეკეთებია. ილიამ რომ ეს ამბავი გაიგო ძალიან გაუწყრა თავხედ გლეხს: ჩემი ხე როგორ მოსჭერიო. მართალია გლეხი უმტკიცებდა, რომ ხე მისი იყო, შვილივით უვლიდა და ზრდიდა მაგრამ „ძლიერთან უძლური მარადის დამნაშავეა“. მაინც ბატონმა თავისი გაიყვანა და გაკეთებული გუთანი წაართვა და წაიღო თავის სახლში. ეხლა რაღა პირით უნდა თქვას ილიამ მამული სნეულისაა და მე რა უფლება მაქვსო.

4—რამდენიმე წლის წინეთ, იმავე საგურამოს მემამულე და ქვისლი ილიასი ციციშვილი ესტუმრა ილიას და ახალ მოსავლამდე 30 კოდი პური ესესხა. თავადმა უბრძანა თავის მოურავს დავით გულბათაშვილს აეწყო პური და მიერთმია ბატონის ქვისლ ციციშვილისთვის, რაც, რასაკვირველია, მოურავმა მყის აღასრულა. რაცა მოურავს სამსახურის ვადა შეუსრულდა და ანგარიში მოსთხოვა ილიას, ამან უთხრა მოურავს, ჯერ ციციშვილს 30 კოდი პური გამოართვი, მომიტა და მერმე გაგისწორებ ანგარიშსო. ყოველივე ხვეწნა ამაო დარჩა. ციციშვილმა პური აღარ მისცა და ილიამაც ანგარიში აღარ გაუსწორა დღემდისაც. თუმცა თითონ მოურავი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ სახლობა ისევ ჰყავს.

6—ილიკო ჩალაური მოჯამიგირეთ მდგარა ჰავჰავაძესთან. მოურავს სოფლიდან თბილისში ბატონთან ურმით სხვა და სხვა სანოვაგეთა შორის შინაური ფრინველებიც გაუტანებია ჩალაურისთვის. რაღაც შემთხვევით გზაზე ერთი ქათამი მოკვდომია მსახურს. როცა სამსახურის ყაელი გაუთავდა და ანგარიშის გასწორების დრო მოვიდა ეს ამბავი დაუხვევია ხელზე ილიას და 8 მანეთი ჯამაგირი დაუხუთნია ერთ ქათამში.

7—ერთ წელს მებაღემ ილიას ძღვნათ „ნობათი“ მოართვა. როცა მებაღე უკან გამობრუნდა, ხაბაზი პურს აცხობდა. დაინახა მებაღე და ნახევარი ცხელი პური შესთავაზა სოფლის ჩვეულებისამებრ. ეს ამბავი გაიგო ილიამ, მაშინვე დაითხოვა და ჯამაგირიც 40 მანეთი დახუთა: ჩემი სახლი შენ დაგილუპნია და ესეც იმაშიო.

8—ანდრო ედიშერაშვილმა სთქვა: (ეს ედიშერაშვილი ახლა თბილისში ალექსანდრეს ბაღში მსახურებს და ეკითხოს). ილიასთან ვიყავი მოჯამაგირეთ. ილიას ერთი გიჟი და მოუსვენარი ცხენი ჰყავდა, ასე რომ ეს ცხენი სულ გვება. ერთხელ მიბრძანა ბატონმა ამეშვა ცხენი და იქვე ბაღში გამეშვა თავისუფლათ, და ადგილიც მაჩვენა. მეც ავასრულე ბძანება, როგორც ვსთქვი ცხენი მოუსვენარი იყო. ღობეზედ გადამხტარიყო და მარგილზე ჩამოგებულიყო. ამის გულისთვის ილიამ ჯამაგირი დამიხუთა ცხენის საფასური.

9—გასული წლის ნოემბერში—სთქვა დათიკო ბიჩინაურმა—ილიასი ოთხი მანეთი მემართა საიჯარო, გამოეგზავნა მოურავი ფულისთვის; ფული რომ ვერ მიპოვეს საბანი წამართვეს, მაგრამ ილიას საბანი ეცოტავებოდა ფულში და არც მოსწონებოდა. (აბა ბრწყინვალე თავადს ყარტლიანი გლეხის საბანი რას მოეწონებოდა?) საბანი უკანვე გამოეტანებინა მხოლოთ მე და ერთათ ერთი ჩემი „ღილა“ კამეჩი წაგვიყვანეს 4 მანეთში. ერთი თვე ვემსახურეთ ილიას.

10—ამ რამდენიმე წლის წინეთ გიგო ქურდოვანიძეს იჯარით სჭერია ილიას ბაღი ვაზიანი, ხეხილიანი და ბოსტნეო—ზომით 4 დესიატინაზე მეტი. მარანში ილიას ერთი დიდი ბოჭკა ღვინო ჰქონია. ბოჭკას 4 თუ 5 ვედრო ღვინო გასდენია, ეს მას ქურდოვანიძისთვის გადაუბრალებია და თიბათვეში, სრულად გაკეთებული, დათესილი, და მოვლილი ბაღი წაურთმევია: „ეს ღვინო შენ მომპარე და კრანი კი განგებ გააფუჭეო“. დიდი ხვეწნა მუდარის შემდეგ ილიამ ისურვა მედიატორების დანიშვნა: მოიწვია თავის ნათესავი მემამულის მებაღეები და იმათაც როგორც იმ საქმის მცოდნეთ შემდეგი დაედგინათ: „ვაზის, ხეხილის და ბოსტნეულების მარტო შესამუშავებლათ, თუ ქურდოვანიძის შრომას არ ვიანგარიშებთ, ფულათ მოუნდებოდა 350 მანეთი, მაგრამ რადგანაც ჩვენ ილიას ნათესავთან ვართ მებაღეებათ, მის პირად წყენას ვერიდებით, რათა ჩვენთვისაც ასეთი საქმე არ დაამართვინოს თავის ნათესავს, ამიტომ ზემოხსენებულ ჯამს ბარჯისას ვცვლით 240 მანეთათ და წლის მოსავლის მოგებიდან როგორც ილია ინებებს ისე მორიგდნენ. მაგრამ ილია არც ამ დადგენილებას დაჰყაბულდა: „არ გაძლევ წადი და მიჩივლეო“ ეთქვა ქურდოვანიძისთვის. ქურდოვანიძეც ამ ხანებში მომკვდარა. დარჩენილა ქვრივი ქურდოვანიძისა ობლებით. რამდენიმე წლის ხვეწნა მუდარის შემდეგ უნებებია თავადს „მოქალაქეობრივის სამართლიანობით და მიუდგომლობით“ მხოლოთ 70 მანეთის მიცემა ქვრივ ობლებისთვის. ისიც ერთბაშათ კი არა, წელიწადში 25 მანეთობით. ესეც იცოდე, მკითხველო, რა წყაროდან: სნეულ გურამიშვილის მიწაზედ ერთ ახალ სოფელ კაცს წისქვილი ჰქონია და იმ წისქვილის საიჯარო ქირიდან მოუშორებია თავისი საკუთარი ვალი. თავის წერილში კი ილია თავისებურს „მარტოლმეტყველობით“ ბრძანებს: მე სნეულ მოყვრის ვამცილებ რა სჯობს მაქვსო. აი, ბატონო ილია! ნუ მოიშლებით მთლათ და სთქვით თქვენი ზრდილობიანი სიტყვები: ლილა გახუნებული, ტყუილის გუდა მაწანწალა, ურცხვი უნამუსო, მე უფრო შემშვენის თუ თქვენს ბრძენყინვალებას? ილიას მრავალ ღირსებათა შორის ერთი ღირსება კიდევ სხვა აქვს: სახელდობ, კაცმა თუ სხვა მოსაზრებით თავის წერილს ზედ თავისი გვარი არ მოაწერა, ამას მგოსანი ეჭვის თვალით უყურებს და მრავალ მნიშვნელოვანათ ამობს: „ნაყოფი ხისაგან და ხე ნაყოფისაგან იცნობისო“. თორემ რატომ ამოეფარა ორ ასოს თუ ის კაცი არისო. მე მგონია საჭირო არ არის დასახელება, თორემ შეგვიძლია დავასახელოთ არა ერთი მაგალითი ასეთი ამოფარებისა ილიას მწერლურ ცხოვრებაშიაც. განსვენებულ ერთ ჩემ ნაცნობ ბოჭაულს ჰქონდა ასეთი ახირებული ხასიათი: თუ ვინმე ახლოს გაუვლიდა და თავის დაკვრით ქუდს არ მოუხდიდა, გახელებული ბოჭაული ჩააცივდებოდა: „ვინდა თუ არა, ჩქარა შენი სახელი და გვარი მითხარი, რომ ოქმი შეგიდგინოო“.

ილია თავის წერილში ხშირათ ამბობს: „შეიძლება უნამუსო კორესპონდენტმა და მატყუარა „მოგზაურის რედაქციამ ვინმე თავზე ხელ აღებული ვიგინდარა მოიქრთამონ და სხვა და სხვა საქმეები დამაბრალონ ამ არა საკადრისი საშუალებითო“. (ილია ამითი საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ მას, რომ ამ რაინდული საშვალებით ხშირათ უსარგებლია. „მოგზაურის“ სიმდიდრისა და დოვლათის რა მოგახსენოთ და ჩემსას კი ვიტყვი დაუფარავათ რომ არ შემიძლია ილია ჰავჰავაძესავით სიმდიდრით თავი მოვიწონო; მაგრამ, მიუხედავათ ჩემი ასეთი სიღარიბისა, ილიას თამამათ მოვახსენებ, რომ ყველა ზევით დასახელებულის დასამტკიცებლათ, როცა ნებავს, მოიწვიოს თავისი გულითადი მეგობრები მედიატორებათ და მე ჩემის მხრით არავის მოვიწვევ. მხოლოთ სიმართლის აღსადგენ-დასამტკიცებლათ ვთხოვ დაინტერესებულთ ამ საქმეში დაესწრან სამართალს, რასაკვირველია თუ ამას ილია ინებებს. ამით ვათავებთ ჯერ-ჯერობით მგოსან მემამულესთან კამათს და ვნახოთ შემდეგში რა იქნება.

ვ. ნ.

საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

(შემდეგი *)

ინგლისის მონარქიის არსებობა დაიწყო ერთი არაჩვეულებრივი მოვლენით. მაშინ, როდესაც პროლეტარიატის ყველა იდეოლოგები ფიქრობდენ კლასთა მორიგებით შეიძლება სოციალური კითხვის გადაწყვეტაო, პროლეტარიატმა საქვეყნოთ გამოაცხადა „ეს შეუძლებელიაო“. 1831 წ. ნოემბერში ლიონის მუშები აჯანყდენ ფაბრიკანტების წინააღმდეგ ქირის შემცირების გამო, დაამარცხეს ჯარი და პოლიცია, დაიჭირეს საბჭო, მთელი ქალაქი და განაწესეს თავის მართველობა. მათი დროშა—ცხოვრება შრომით ან სიკვდილი ბრძოლით—შეიქნა ლიონის დროშათ. მაგრამ ეს ყმობას მიჩვეული ხალხი უცებ გაბატონებით შეშინდა და ვერაფერი გამოიფიქრეს გარდა იმისა, რომ შიშისაგან დამალული ფაბრიკანტები გამოანახონ და ქირის მომატება სთხოვონ! აქა-იქ ხმა აღამაღლეს პოლიტიკური უფლებების მოსათხოვათ, მარა მათ სძლიეს «ეკონომისტებმა» და აჯანყების მიზნათ «მანათზე შაურის»

*) იხ. „მოგზაური“ № 17, მაისი 1995 წ.

მომატება დასახეს; ამით ფაბრიკანტებმა ისარგებლეს და მოლაპარაკება გააჭიანურეს. რადგან პარიჟიდან საიდუმლო ცნობა ქონდათ დეპუტატებისაგან, ათ დღეში 40 ათასი ჯარი მანდ იქნებაო, ამ ათი დღის განმავლობაში მუშები ალაპარაკეს. მიეფერ-მოეფერენ, პოლიციელობა გააწევიეს (ისიც მუქთათ) და სამ დეკემბერს თავზარი დასცეს, ქალაქში შემოვიდა პარიჟის ჯარი, მუშებს იარაღი აჰყარა, მრავალი დაატყვევა და ასე „წესიერება აღადგინა“.

ლიონის საქმემ დიდათ დააშინა ბურჟუაზია და პალატამ მეფეს შემდეგი ადრესით მიმართა: «საკუთრების თვით პრინციპი განსაცდელს მისცეს, მრეწველობის თავისუფლება კინაღამ მოსპეს, უფროსთა რჩევა უარ-ყვეს. საჭიროა ეს უწესოება ძირიანათ ამოვარდეს, ასეთი თავხედობა სასტიკათ დაისაჯოს. ხელმწიფეო, ჩვენ ბედნიერათ ჩავთვლით თავის-თავის, თუ საფრანგეთის სახელით მის დეპუტატებს დაგვიხმარიებთ ყოველგან მშვიდობიანობის დამყარებაში და არეულობის თავშივე ჩაქრობაში, რომ მით ის წმინდა პრინციპები, რომელზედაც თვით ერის არსებობა დაყრდნობილია, გამაგრდეს, ივლისის რევოლიუციის სახელოვანი საქმეები დამკვიდრდეს და ძალა და სამართალი ყოველგან კანონს დარჩეს“.

როცა კაპიტალისტები ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდენ პროლეტარიატს, მეგობრები ისევ მორიგებაზე ლაპარაკობდენ. სენსიმონელთა გაზეთი „გლობი“ სწერდა: „მუშათა კლასის ამაღლება შეიძლება იმდენათ, რამდენათ მას მაღალი კლასები ხელს გაუწვდიან. ამ უკანასკნელთაგან უნდა გამოვიდეს ამის მეთაურობა“. ხოლო წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებმა და მისმა ცნობილმა საზოგადოებამ „ხალხის მეგობრებმა“ ლიონის აჯანყება უბრალო შემთხვევათ ალიარეს და ჩქარა დავიწყებას მისცეს. ქვეყნის ყურადღება ისევ პოლიტიკურ მოძრაობამ მიიპყრო.

რესპუბლიკანელთა პარტია ივლისის რევოლიუციით მუშებივით მოტყუებული დიდის ენერგიით და თავის დადებით შეუდგა ახალი მთავრობის მხილებას და მისი ავტორიტეტის დაცემას. ამის საქმოთ მიზეზს იძლეოდა თვით მთავრობა. გაბატონებულ ბურჟუაზიამ თავისი მთავრობა გამოაცხადა „იაფ მთავრობათ“, მარა ხელ-მომჭირნე ლუი ფილიპემ, როგორც კი ტახტზე ავიდა, თავის თავი იგრძნო არა ბურჟუათ არამედ მეფეთ და მოითხოვა შესაფერი «პატივი», ე. ი. 18 მილიონი წლიური ჯამაგირი პირადათ მას, ცოლს, შვილებს და სასახლეს. კიდევ სხვა, რესპუბლიკანელებმა გაილაშქრეს, როგორც მეფის, ისე კაპიტალისტთა ფუფუნების წინააღმდეგ. პალატაში. მინისტმა მონტლივემ ოპოზიციას შესძახა: ,,თუ ფუფუნება განიდევნა მეფის სასახლიდან, ჩქარა ქვეშევრდომთა სახლებიდანაც განიდევნებაო“. დეპუტატებმა შეურაცხყოფათ მიიღეს მათი ,,ქვეშევრდომათ“ ხსენება. ,,ისინი ვინც მეფეს ,,აკეთებენ“ ქვეშევრდომები კი არ არიანო“. წყენით მიუგეს მინისტრს, ხოლო წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცეს და მით ფუფუნება თავისთვისაც დააკანონეს. ამ დავაში მეფემ ნივთიერათ გაიმარჯვა, მაგრამ ზნეობრივათ დამარცხდა. «ხალხის მეგობრებმა» გამოსცეს მრავალი წიგნაკები და ფურცლები მონარქიის დასამცირებლათ და რესპუბლიკის სადიდებლათ. ამ მოძრაობით შეშინებული პალატის მემარცხენე ოლლიონ ბარროს მეთაურობით შეერთდენ და გადაწყვიტეს მონარქიის შეკეთება ე. ი. რეფორმების შემოღებით დემოკრატიის ერთი ნაწილის თავისკენ მომხრობა, რესპუბლიკანური მღელვარების შესუსტება და მით ახალი დინასტიის გამაგრება. იშვა **დინასტიური ოპოზიცია** და 28 მაისს (1832 წ.) თავის ამომრჩეველთ შემდეგი მანიფესტით მიმართა: მთავრობა განაგრძობს მხოლოთ რესტავრაციის პოლიტიკას, მაშინ როდესაც ივლისის რევოლიუცია იყო, სამუდამო ცნობა 1789 წ. დიდი რევოლიუციის მიერ გამოცხადებული პრინციპების და უფლებების. აი ეს უკანასკნელნი [illegible] და მკვიდრი საძირკველი, რომელზედაც ჩვენ გვსურს ტახტის აშენება...“ ერთი სიტყვით დინასტიურ ოპოზიციამ თავის დროშას დააწერა მონარქია ,,სახალხო დაწესებულებებით“.

რესპუბლიკანელები ამ ახალი მეტოქით სრულიად არ შეშინებულან, პირიქით კიდევ უფრო გამხნევდენ, გალონიერდენ და გადასწყვიტეს რესპუბლიკანელი დენერალი ლამარკის გასვენებით ისარგებლონ და ხუთ ივნის არეულობა დაიწყონ. ,,ხალხის მეგობარნი“ სხვა საზოგადოებებთან ერთათ დაემზადენ და ხუთ ივნისს ლამარკის ცხედართან მთელ რესპუბლიკანელ პარიჟს თავი მოუყარეს. შეთქმულნი ჩადგენ პროცესიის სათავეში და პოლიციასთან პირველ შეტაკების თანავე აჯანყება გამოაცხადეს; თვალის დახამხამებაში ბარიკადები ამართეს, უახლოვეს ყაზარმას დაეცენ და იარაღი გამოიტანეს, ერთმა ჯგუფმა დაიჭირა არსენალი, მეორემ შატოდოს ციხე და გალიატის სატუსაღო, მესამემ მერვე უბნის საბჭო, და ასე მრავალ ალაგას რევოლიუცია გააჩაღეს. საღამოს 6 საათზე არეულობა დაეპატრონა პარიჟის დიდ ნაწილს. მილიცია მხარს უჭერდა რევოლიუციონერებს, პოლიცია და ჯარი უკუ აქციეს. საღამოს რვა საათზე აჯანყებამ მიატანა პრეფექტურას და შენობა შემოქალტეს. რესპუბლიკანელთა ორგანოს ,,ნაციონალის“ რედაქციაში თავი მოიყარეს მეთაურებმა საერთო პლანისა და თავდარიგის შესამუშაებლათ. მეორე მხრით მთავრობა და დეპუტატები თითქმის იმედ დაკარგულნი შეიკრიბენ სასახლეში შინაგან საქმეთა მინისტრის ტიერის მეთაურობით სათათბიროთ და აი აქ მათ შუა ღამისას გაიგეს საქმის ნამდვილი მდგომარეობა: გაიგეს რომ ,,ნაციონალის“ თათბირი ფუჭათ ჩაიარა, ვერც ერთ ცნობილმა რესპუბლიკანელმა მოძრაობის მეთაურობა ვერ იტვირთა; მუშათა უბნები სრულიად არ გახძრეულა, პროლეტარიატი აჯანყებას არ მიმხრობია, მთელი საქმე წვრილი ბურჟუაზიის ამარათაა. გახარებულმა ტიერმა თქვა, მაშ ჩვენი აჯობებსო და ღამის პირველ საათზე გამოიყვანა თავისი უერთგულესი პოლკები ბარიკადების ღამითვე ასაღებათ და რევოლიუციონერების დასაფანტავათ. უპროლეტარიატოთ დარჩენილმა წვრილმა ბურჟუაზიამ დიდი მხნეობა ვერ გამოიჩინა და გათენებამდის დამარცხდა.

გამარჯვებულმა მთავრობამ პარიჟი სამხედრო წესებში ჩააყენა, მრავალი უმაღლესი სასწავლებლები დახურა, ,,ხალხის მეგობარნი“ და სხვა საზოგადოებები აკრძალა, გაზეთები სამართალში მისცა—რეაქცია გაამეფა. მთავრობის ტერორმა გამოიწვია რევოლიუციონერთა ტერორი და 19 ნოემბერს მეფეს ესროლეს. ამან კიდევ უფრო გააძლიერა რეაქცია, დემოკრატიული გაზეთის ,,ტრიბუნის“ რედაქტორები **მარასტი და გოდფრუა კავენიაკი** პალატამ თავისივე სამართალში მისცა პალატის ბეჭდვით შეურაცხყოფისათვის. აი რა თქვა მარასტმა სასამართლოში: ,,პალატამ, რომელმაც დაადასტურა განსაკუთრებითი სასამართლო, ნება დართო ხარტიის დაუსჯელათ დარღვევას და პოლიციის თვითნებობას, გადადვა ხაზინის ფულები ისეთ საქმეთათვის, საიდანაც პირველათ თვითონ სარგებლობს, მიუტოვა პირადი თავისუფლება თვითნება მინისტრებს, დევნის სასტიკი ზომებით აზრის თავისუფლებას, განუწყვეტლივ უმატებს მოხელეთა ჯამაგირს და მათ ერთიანათ ადმინისტრაციას უქვემდებარებს, იღებს სესხს სესხზე, აძლიერებს საიდუმლო ფონდს, იცავს ყველა პრივილეგიებს, ალმართა გაუმაძღრობის ტრაპეზი, გააჩაღა აჟიოტაჟი, აღიარებს უწმინდურ ბირჟის ყოველივეს ცენტრათ, პატიოსნებას,

ერის სახელს და ხაზინას ბირჟევიკებს ანაცვალებს—ასეთი პალატა, ბატონებო, გარყვნილია, გათახსირებულია... ყველამ იცის შარშანდელი ბირჟის სპეკულიაციები, ყველას ახსოვს ის ახალი ამბები, რომელიც გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც ბირჟის ოპერაციები თავის სასარგებლოთ დაასრულეს (ლაპარაკია როტშილდის შესახებ, რომელმაც მთავრობის დახმარებით ბირჟაზე რამოდენიმე მილიონი მოიგო). პალატა არ ერია ამაში? რასაკვირველია არა, თუმცა სხდომის დარბაზში ბირჟის აფიშები რიგდებოდა, თითქოს სხდომის საგანიაო! თქვენი განზრახვა, ბატონებო, ჩანებული უნდა იყოს, რასაკვირველია, თუმცა ორი წლის განმავლობაში გაცილებით მეტი საიდუმლო ფონდი დააკანონეთ, ვინემ რესტავრაციამ უკანასკნელ ექვს წელიწადს; თქვენ, რასაკვირველია, არ გაინტერესებთ შაჩრის პრემიები, თუმცა ეს პრემიები 1830 წ. შვიდ მილიონიდან ცხრამეტ მილიონამდის ავიდა და, ჰოი საკვირველებავ, ამ ფულის ერთ-მესამედამდის დაურიგდა ექვს დიდ ფირმას, რომელთა რიცხვშია თქვენ მიერ პატივცემული დეპუტატები და ერთი მინისტრიც. და მართლაც 1832 წ. პრემიები მიიღო: 900 ათასი ფრანკი პერიემ (მინისტრი), 600 ათასი ფრანკი დელესერმა, ამჟამინდელ ჰუმანმა, ამდენივე ფულდმა, 800 ათასი სანტერმა, ერთი მილიონი დიუსვანმა მარსელში!" (ესენი დეპრტატებია).

აი ასე თავგანწირული იბრძოდა ბურჟუაზიული დემოკრატია, როგორც ქუჩაზე, ისე პრესაში და სასამართლოში. მისი უმთავრესი სისუსტე იყო მარტო ყოფნა, პროლეტარიატის პოლიტიკისაგან დაშორება და გაგულგრილება; მისთვის აშკარა შეიქმნა, რომ წვრილი ბურჟუაზია უპროლეტარიატოთ რევოლიუციას ვერ მოახდენს და რესპუბლიკას ვერ დააარსებს და აი მან გადასწყვიტა პროლეტარიატის მომხრობა, მისი გარესპუბლიკანელება, სოციალური კითხვის პოლიტიკურ კითხვასთან დაკავშირებით და რესპუბლიკის მნიშვნელობის უსაშველოთ გაზვიადებით. მან პოლიტიკური რევოლიუცია გამოაცხადა სოციალურ რევოლიუციათ და მუშათა სიღატაკის ძირბუდიანათ ამოგდების საშუალებათ. ამ აზრების პროლეტარიატში გავრცელება იტვირთა „ხალხის მეგობართა" ნანგრევზე აშენებულმა საზოგადოებამ ,,ადამიანის უფლებები" გოდფრუა კავენიაკის მეთაურობით. მისი პირველი მანიფესტი (1833 წ.) გარდა საყოველთაო კენჭის ყრისა და ხალხის ბატონობისა თაოსნობს: ,,მუშათა კლასის გათავისუფლება შრომის უკეთესი განაწილებით, ნაშრომის უფრო სამართლიანათ განაწილება და ასოციაცია". მანიფესტის ავტორნი სამართალში მისცეს, სადაც ერთმა განაცხადა: ,,აი რას ამბობენ ჩვენ სექციებში: ძარს ყველა პრივილეგია, მათ შორის დაბადებისაც! ძირს სიმდიდრის მონოპოლია, ადამიანის მიერ გაუკუღმა და სოციალური უთანასწორობა! ეს გვსურს ჩვენ, პრესა კი ამის შესახებ არას ამბობს, ის მხოლოთ პოლიტიკურ რეფორმებს ქადაგებს, მარა არც ერთი დიდი რევოლიუცია არ ყოფილა პოლიტიკური რევოლიუცია. როცა მას თან არ ახლავს სოციალური რევოლიუცია მისი ნაყოფი არაფერია ან თითქმის არაფერია. იმ დღეს, როცა საფრანგეთი განთავისუფლდება და ერი გაბატონდება, რესპუბლიკის უწმინდესი მოვალეობა იქნება პროლეტარიატს მისცეს საშვალება ასოციაციის შედგენის და მრეწველობის მის მიერვე წარმოების". საზოგადოების მიერვე გამოცემულ წიგნაკში ,,პროლეტარიატის კატეხიზმოში" ვკითხულობთ:

,,კითხვა: რა არის რესპუბლიკა?—პასუხი: ყველას ინტერესის დაკმაყოფილება; კითხვა რას ნიშნავს—კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს თვითეული მოქალაქის არსებობაო? პასუხი: ეს ნიშნავს იმას რომ, საზოგადოების თვითეულ წევრს უფლება აქვს მოსთხოვოს საზოგადოებას ცხოვრების საშვალებები, თუ კი მას შრომა შეუძლია; საზოგადოება მოვალეა დააკაყოფილოს როგორც მისი თხოვნა, აგრეთვე იმათი ვისაც შრომა არ შეუძლია", ყოველივე ამის განხორციელება შეიძლება მემკვიდროების მოსპობით და სამკვიდროს ,,საზოგადოებაში" შეტანით. რადგანაც მშობლებისაგან ვერავინ ვერას მიიღებს და იძულებული იქნებიან ქონება თავისივე ხელით შეიძინონ, ცხადია აღარ იქნებიან დიდი სიმდიდრის პატრონნი კაპიტალისტები, როგორც ეს დღეს არის. სიმდიდრის მოგროვება შესაძლებელი იქნება მხოლოთ თავის სიცოცხლეში, უკანასკნელი კი თავის ხელ-მოკლეობით არ დაანებებს ზომაზე მეტის მოგროვებას". ერთი სიტყვით კაპიტალისტის წვრილ ბურჟუამდის ჩამოყვანა, მუშის წვრილ ბურჟუამდის აყვანა და ასე ქონებრ. გათანასწორება", აი იდეალი ,,ადამიანის უფლებებისა". ამ წვრილ ბურჟუაზიული მდგომარეობის განხორციელება, პროლეტარის ასოციაციებით გახაზაინება" მიზანია რესპუბლიკის და მაშასადამე პროლეტარიატიც რესპუბლიკანელი უნდა იყოს.

ამ მოძღვრების გასახორციელებლათ საზოგადოებამ გახსნა თავისი განყოფილებანი ლიონში, რუენში და სხვა სამრეწველო ცენტრებში. ,,სოციალიზმისაკენ" ასეთ გადახრამ გამოიწვია ,,პოლიტიკების" წინააღმდეგობა და მით ადამიანის უფლებები იყოფა ორ ნაწილათ: მემარჯვენენი ანუ ჟირონდელები, მემარცხენენი ანუ მონტანიარები; პირველთა ორგანო შეიქმნა გაზეთი ,,ნასიონალი", რომელიც ფიქრობდა საშვალო ბურჟუაზიის გულის მოგებას და თავის მოკავშირეთ გადაქცევას; მონტანიარები უარს ყოფდენ ამ ,,დიპლომატიას" და პირდაპირ აცხადებდენ. ,,ჩვენ გვსურს ყველასათვის თანასწორი კეთილ დღეობა, სამდიდრის და მდგომარეობის ნიველიროვკა (დადაბლება)." მონტანიარებმა ჩქარა მოიპოვეს გავლენა. მათი მეთაურობით მოხდა 26 ათასი მუშის დიდი გაფიცვები პარიჟში ლიონში იმათ შეანგრიეს ,,ეკონომისტთა" კედელი და მრავალი მიტუალისტი მოიმხრეს; მათივე მეცადინეობით თორმეტ თებერვალს 1834 წ. გაიფიცა ოციათასი მუშა და მოინდომეს ამ მოძრაობისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემა, მარა ,,ეკონომისტებმა" კიდევ სძლიეს, გაფიცვა წააგეს, ამ დროს ლიონში მოვიდა ამბავი შესახებ პალატის ახალი კანონისა, რომლითაც კავშირის და საზოგადოებების შედგენა თითქმის შეუძლებლათ ხდებოდა; თუმცა ეს მომართული იყო განსაკუთრებით ,,ადამიანის უფლებების" წინააღმდეგ, მაგრამ ეხებოდა აგრეთვე ყველა სხვა საზოგადოებებსაც, მათ შორის ლიონის მიტუალისტებსაც. ახლა ,,ეკონომისტებიც" აღელდენ და გადასწყვიტეს მონტანიარებთან ერთათ არეულობის მოხდენა. არეულობის დღე დაინიშნა ცხრა აპრილი, დღე გაფიცვის მეთაურთა გასამართლებისა შეთქმულები მოემზადენ და ცხრა აპრილს დილით ბაირაღით ხელში გასწიეს სასამართლოსაკენ. ბაირაღზე ეწერა: ასოციაცია, გულადობა, ბრძოლა; მათ გზა გადაუღობა 10 ათასმა ჯარმა, და ისინიც ბარიკადების ასამართავათ ჯგუფ-ჯგუფათ დაიფანტენ; ბრძოლა დაიწყო მრავალ ალაგას; სახლების ფანჯრები, კარები, სახურავები, ეზოები აჯანყებულთა ხელში იყო და მომავალ ჯარს ყოველ მხრიდან ესროდენ, სალდათებმა ამართეს თავისი ბარიკადები და მუშათა უბნებს დაუშინეს ზარბაზნები. აჯანყებულ რაზმთა შორის კავშირი გაწყდა. ერთმანერთის მოხმარება ველარ მოახერხეს და ასე თანდათან დასუსტებულნი მესამე დღეს დამარცხდენ. ამ ომში მოკლეს ას ოცდა თერთმეტი სალდათი, თორმეტი აფიცერი და ერთი პოლკოვნიკი. დაიჭრა ას ხუთმოცდა თორმეტი; აჯანყებულთაგან მოკლეს ას სამოცდა ათი, დაატყვევეს

ოთხასი, ხოლო დაჭრილთა რიცხვი არავინ იცის. (ჩვეულებრივათ დაჭრილნი თავის ამხანაგებს გაყავთ ბრძოლის ველიდან და მალვენ). ლიონს აყვა სხვა ქალაქებიც, ქალაქ ლუნეველში აჯანყდა უნტერ-აფიცრები და სალდათები, ქალაქ სენტეტიენში, გრენობელში და პარსელში მუშები და მონტანარები; პარიჟი მთავრობამ ერთიანათ შეკრა, მუშათა უბნები 40 ათასი ჯარით დაიჭირა, ,,ადამიანის უფლებების'' მრავალი წევრნი დაატყვევა, ქუჩაზე გამოსულმა ოთხი ათას მებრძოლმა ვერაფერი გააწყო და დამაცხდენ.

ან.

(შემდეგი იქნება).

ქურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. ,,ივერიის'' № 72-ში ვკითხულობთ: ,,დასელები ამბობენ: გადასახლება ეკონომიური განვითარების შედეგი არიო და ამიტომ ვურჩევთ ამხანაგებს არ დაგმონ და წინააღმდეგი არ გაუწიოთ უცხოთა გადმოსახლებასო''. აქედან ბრძენ ,,ივერიას''. ასეთი დასკვნა გამოყავს: ,,როგორც ხედავთ, ამ საგნის შესახებ ისეთ სოლიდარულათ მოქმედებენ სომხისა და რუსის ბურჟუაზიასთან''. ლოლიკაც სწორეთ ასეთი უნდა! ჯერ ერთი ის, რომ პატივცემულ ავტორს აზოწერაც ვერ შესძლებია ხერხიანათ, და თუ არ შეძლო რაღას კისრულობდა. მართალია დღევანდელ პირობებში გადმოსახლებას მშრომელი ხალხი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, იგი მხოლოთ სარგებლობს ამით დღევანდელი რეჟიმის დასამხობათ და ბურჟუასთან საბრძოლველათ. საიდან გამოიყვანა პატივცესულმა ავტორმა, რომ ასეთი ტაქტიკა ,,გლეხების'' ბურჟუასთან სოლიდარათ მოქმედებას ამტკიცებს. ან ვინ მისცა დღეს გლეხებს თავის მიწა-წყალი, რომელზედაც ასე თამამათ გაიძახის ,,ივერიის'' ავტორი! ეს მიწა-წყალი კაი ხანია გამოცლილი აქვს მას ხელიდან. აშკარაა, თუ ვინ მოქმედებს სოლიდარულათ ბურჟუასთან, ვინ იცავს ნამდვილათ მის ინტერესებს, არა მხოლოთ სიტყვით, არამედ საქმით.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა საქმე.

დიდი ხანია გვესმოდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტობაში უთანხმოებაა ჩამოვარდნილი და მოსწავლეთა წრე ორ ჯგუფათ არის გაყოფილიო. ბევრს ეს ამბავი საგანგებულში აგდებდა—რა არის, სადა რამდენიმე ქართველი შეკრიბებოდა, აქ უთუოთ ბარტიობა იჩენს თავსო, ეს არის ჩვენი საზოგადო სენი, ის გვსნობს შინაცა და გარეთაცო; ბევრი კიდევ, თუმცა ეკრე რიგათ არ სწუხდა ამ მოვლენაზე, რადგან ბუნებრივათ თვლიდა ახალ-ახალ აზრთა და მიმართულებათა განსხვავებას, მაგრამ მაინც ვერ გაეგო რამ დაყო ეს სტუდენტობა. დღემდინ, როგორც თვით ერთ-ერთია წრის წარმომადგენელი ბ-ნი მაქელაძე წერს (ტნ. ფურ. № 2814), მხოლოთ ორჯერ ამბობდეს ხმა ამ საქმეზე მწერლობაში სტუდენტებმა, მაგრამ ეს მასალა არ იყო საკმარისი მოზიდვებიერთა ფაზიონომიის გამოსარკვევათ და მხოლოთ დღეს, როცა მათ შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ გამოსთქვა თავისი აზრი სამედიატორო სამართალმა, შეგვეძლია დავუფასოთ ორივე მხრის ზნეობრივ-საზოგადოებრივი ფაზიონომია. ქვევით მოგვყავს ამ სიმართლის განჩინის ბარი, სადაც მკითხველი საკმაო მასალას იპოვის თავისი აზრის გამოსათქმელათ. აქ კი საჭიროთ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ, თუმცა თავის თავათ სტუდენტობა დიდ ძალს არ წარმოადგენს, მაგრამ ბევრ მის მოქმედებაში აშკარათ გამოსჭვივის ამ საზოგადოების ზნეობრივი მხარე, რომელსაც ეკუთვნის ეს სტუდენტობა, და ამ მხრით საინტერესო და საყურადღებოა უფრო გამტყუნებული ჯგუფი, რომელსაც წარმოუდგენია, რომ თუ რამე ფლიდობას და სიზიზღრობას ქართველის სახელი მიაკერა, მისი ჩადენა სავსებით ეკისრება. ამ ფორმით ნდომებიათ ფონს გასვლა ამ ბნელეთისა და ან სიზოგადოებრივ მიმართულების (თუ აქ მიმართულებაზე შეიძლება დაბარაკი) წარმომადგენელთ და მათი წინდაუხედაობა იქამდინ მისულა, რომ ეს სიტყვა (ქართული) სრულიად უკანონოთ მიუთვისებიათ. ასეთი მოვლენა დღეს ჩვეულებრივია ჩვენ ცხოვრებაშიაც. ჩვეულებრივია აქ, პრაქტიკულ ,,მოდვაწეთა'' შორის, მეღანოსე-მაბეზღარებთან მეგობრობა—კვეშირიც და სხვა მრავალი სენი, რომლითაც შეპერობილი უოფილა პეტერბურგის სტუდენტობის უმცირესობა, მაგრამ საკვირველი ის არის რომ ამ სენს ამათში დაუბუდებია, რომელნიც, სხვას უველაფერს რომ თავი დაევნებოთ, თავისი ასაკით ისეთ ხანაში არიან რომ ზნეობრივი სისხეტაკე მაინც უნდა შერჩენოდათ. სამწუხაროთ ამას ვერ ვხედავთ მათ მოქმედებაში. სამწუხაროთ ისიც რომ იმ დროს როცა პეტერბურგის ქუჩებში ჯერ კიდევ არ გამშრალიყო 9 იანვრის მსხვერპლთა სისხლი, სტუდენტებმა ოჯერა, ცეკვა-თამაში და მეჯლისი გამართეს იმავე პეტერბურგში სადა 9 იანვრის ამბები მოხდა! რადა დარჩენიათ სიზოგადობრივობისა იმ ჯაჭვბატონთ, რომელნიც სპეროთ მწუხარების დროს ცეკვა-თამაშით ერთობიან, ხოლო ამ უბედურების მიზეზთან კავშირს არა თუ სწყრებენ, უფრო ამტკიცებენ და თავისი, თუნდ ,,ქართულ'' სადამოს შემოსავლიდან პროცენტებსაც კი უგზავნიან? ვფიქრობთ, არაფერი, თუნდ ის პროფესიორთა და მეცნიერთა კრებულიც იყოს, და გვგონია, ეჭვდა დაეთანხმება სამედიატორო სასამართლოს განაჩენს, რომელიც ამბობს: ,,ახალი წრის'' ქ. ი. სტუდენტთა უმცირესობის საქციელნი უმართებულო და გასაკიცხნი არიანო''.

ეი განაჩენის ბარიც, რომელსაც ვიღებთ თანახმათ ბ. ა. მაქელაძის და მისი ამხანაგების თხოვნისა გაზ. ,,ცნ. ფურცლიდან''.

—

მედიატორეთა სამართლის განაჩენი შესახებ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა წრეების საქმისა.

„იმ უთანხმოების გამო, რომელიც მოხდა პეტერბულგელ ქართველ სტუდენტთა წრეში და ეს წრე გაყო ორ მოპირდაპირე ბანაკათ, ორივე მოდავე მხარემ დაადგინა, სამედიატორო სამართალს გადასცენ განსახილველათ თავიანთი დავა; ამიტომ ერთმანეთის თანხმობით ამოირჩიეს ოთხი მოსამართლე, რომელთაც მიანდეს მეხუთე მოსამართლის არჩევა და ამასთანავე სასამართლოს თავმჯდომარისა. ორივე მხრივ არჩეულთ—მ. მ. ვინავერმა, ა. ი. ნოვიკოვმა, ე. ვ. ტარლემ და ს. პ. იურიცინმა—იკისრეს ხსენებულ საქმის განხილვა და სამედიატორო სამართალში მონაწილეობის მისაღებათ მოიწვიეს ნ. ი. კარეევი, რომელმაც იტვირთა აგრეთვე თამჯდომარეობაც.

„სამართალზე რომელიც მოხდა 1905 წლის თებერვალს, მარტსა და აპრილში, მოკამათე მხარეთა თავმჯდომარეებათ *) გამოვიდენ.

1) ქართველთა ძველის ანუ ედა-წრისა, რომელშიაც დარჩა უმრავლესობა (74 კაცი **) პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზდობისა,—ბ-ნნი ალექსანდრე მიქელაძე, ილია ქარცივაძე, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ გელოვანი და გიორგი ყაზახაშვილი.

2) ქართველთა ახალ ანუ გამოყოფილ წრისა (49 კაცი)—ბ-ნნი: დ. გაბაშვილი, კ. ასათიანი, დ. ვაჩნაძე, დ. ნატროშვილი და გ. დადიანი.

„თავიანთ სხდომებზე მოსამართლეებმა მოისმინეს, გარდა მოკამათე მხარეებისა, მათ-მიერ წამოყენებულ მოწმეთა ჩვენებანიც და ხელთა ჰქონდათ აგრეთვე სხვა და სხვა წერილობითი საბუთები; ერთი მხარის თხოვნით (ძველის წრისა) რამდენიმე ამ საბუთებისა სამართალს წარმოუდგინა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტის არქივიდან.

*) დედანში შეცდომით ნათქვამია „თავმჯდომარეებათ“ (председателями), უნდა იყოს—წარმომადგენელებათ (представителями). ა. მ.

**) სიით ითვლება 85 კაცი, მაგრამ ამათგან 11 წევრი ამჟამად დროებით არ იმყოფება პეტერბურგში.

„ზემოხსენებულ მედიატორეთა სასამართლომ განიხილა საქმის ყველა გარემოება და ერთხმათ დაადგინა შემდეგი:

„პირველი. სასამართლოს აზრით, დამტკიცდა, რომ ახალ წრის წევრებს ცოდნიათ, რომ ერთი გარეშე პირი წერდა უნივერსიტეტის რექტორს წერილებს, სადაც სახელს უტეხდა იგი პატიოსნებას ძველის წრის ერთის წევრისას, რომელიც იყო იმავე დროს ამ წრის წარმომადგენელი; ამიტომ სასამართლოს უმართებულოთ მიაჩნია საქციელი ახალ წრისა, რომ ამ პირთან არ მოუსპია დამოკიდებულება. თუმცა ჩანს აგრეთვე ისიც, რომ იმავე პირს მიუწერია პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისთვის, მაგრამ არ მოიპოვება დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს გარემოებაც აგრეთვე სცოდნოდა ახალ წრეს.

„მეორე. სასამართლოს მიაჩნია დამტკიცებულათ, რომ ახალ წრის წევრებს სცოდნიათ ისიც, რომ პირველ მუხლში მოხსენებრლმა პირმა საჯაროთ უწოდა ძველი წრის ორ წევრს (ერთი მათგანი წრის ხაზინადარი იყო) ჯაშუში და „პაღლეცი“,—და ამიტომ ჰფიქრობს, რომ იმის შემდეგ ამ პირთან დამოკიდებულების განგრძნობა უმართებულოა.

„მესამე. სასამართლოს მიაჩნია აგრეთვე უმართებულოთ, რომ ახალმა წრემ თავის-მიერ გამართულ საღამოს უწოდა „ქართული“, თუმცა ეს სახელწოდება ყოველთვის ეკუთვნოდა იმ საღამოებს, რომელსაც მართაველ ხოლმე ყველა ქართველები; მით უმეტეს, ახალ წრის წევრებს უნდა ცოდნოდათ გამოცხადება იმისი, რომ საღამოს შემოსავლიდან 15% გადაიდება ომში მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახების სასარგებლოთო,—სტუდენტობაში იწვევს თვალსაჩინო უთანხმოებას.

„მეოთხე. სასამართლოს გასაკიცხს საქციელათ მიაჩნია, რომ მეორე წრემ გამართა აგრეთვე საღამო***) და მასთან ცეკვა იმ დროს, როცა მთელი საზოგადოება განიცდიდა უმწვერვალეს ტრაღიკულ სულის-კვეთებას, როცა საზოგადოების ამ გვარი მდგომარეობა განსაკუთრებით ეხებოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელს და არც ერთი ჯგუფი მოსწავლე ახალგაზდობისა არ მართავდა ჩვეულებრივ საღამოებს, მით უმეტეს—უნდა დაუმატოთ—რომ ძველი წრე ურჩევდა ახალ წრეს, ნუ იზამთ მაგ საქმესაო.

„მეხუთე. ახალი წრე ბრალსა სდებს ძველ წრესა, რომ მას შემდეგ, რაც საქმის გარჩევა მივანდეთ სამედიატორო სასამართლოს, ძველი წრე, როგორც სიტყვიერათ, ისე ბეჭდვით, ავრცელებდა ჩვენს შესახებ სხვა და სხვა ხმებსაო; ამ მხრივ, სასამართლოს აზრით, არავითარი საბუთი არ ამტკიცებს, რომ ძველი წრის წევრთა საქციელი აღემატებოდეს უბრალო ჩვეულებრივ ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას, რაც ბუნებრივათ თან ახლავს ხოლმე ამ გვარ წაკიდებას, მით უმეტეს, როცა ეს მითქმა-მოთქმა ორივე მხრივია.

„მეექვსე. ბ-ნი დ. გაბაშვილი მართლა ჩირქსა სცხებდა თუ არა თ-დ გელოვანის სახელსა? რაკი სასამართლოს ვერ დაესწრო მოწმე თ-დი კ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც გამოჰგზავნა წერილობითი ჩვენება, და რაკი თვით ბრალდებულმა უარყო ფაქტი, ამიტომ სამართალს არ ძალუძს, გადაჭრითა თქვას, რომ ბ-ნმა გაბაშვილმა უწოდა თ. გელოვანს მტაცებელი საზოგადო ფულისა; გარნა სასამართლო შესაძლებლათა ცნობს, ფაქტიურის მხრივ დამტკიცებულათ მიიჩნიოს ის,რაც თქვა თვით ბ-ნმა დ. გაბაშვილმა ამ ინციდენტის შესახებ. ამასთანავე სასამართლო აღიარებს, რომ ბ-ნ გაბაშვილს არა ჰქონდა საკმაო საფუძველი გამოეთქვა თავ. გელოვანისადმი ჩრდილის მიმყენებელი იქვი—გულწრფელობა და უცნაურობა გელოვანის საქციელისა მასთან მიბარებულ საზოგადო ჯრის შესახებ.

„მეშვიდე. თავადმა მიქელაძემ შეურაცხყო თუ არა მთელი ახალი წრე ბ-ნ გობეჩიასადმი წერილში? ამის შესახებ სამართალი იმ აზრისაა, რომ იმ წერილით მიქელაძემ არ შეურაცხყო ახალი წრე, რადგან საქმე თავ. მიქელაძისა და ბ-ნ გობეჩიასი სრულიათ კერძოა, და შეურაცხმყოფელი კილო თავ. მიქელაძის წერილისა, რომელიც ბ-ნ გობეჩიასადმია მიწერილი, არ ეხება ახალ წრის პატიოსნებას.

„ეს განაჩენი, ყველა ხუთივე მოსამართლის-მიერ ხელმოწერილი, უნდა ინახებოდეს სასამართლოს თავმჯდომარესთან; ხოლო განაჩენის პირები, შემოწმებული თავმჯდომარის მიერ, მიეცეს ორივე მხარეს. ს.-პეტერბურგი, 4 აპრილი 1905 წელი.

ნამდვილზე ხელს აწერენ: ნ. კარეევი, მ. ვინავერი, ა. ნოვიკოვი, ს. იურიცინი, ე. ტარლე.

ნამდვილთან სწორია—თავმჯდომარე სამედიატორო სასამართლოსი, პროფ. ნ. კარეევი“.

***) დედანში შეცდომითაა ნათქვამი—საღამო, უნდა იყოს ოპერა ანუ საოპერო საღამო, რადგან საკუთრათ საღამო, 10 დეკემბერს გამართული, მესამე მუხლშია მოხსენებული სამივე შენიშვნა ეკუთვნის ბ. მიქელაძეს. რედ.

მცირე შენიშვნა.

ამ ერთი კვირის წინათ შემთხვევა გვქონდა წაგვეკითხა „ივერიის“ დამტებათ გამოსული ვრცელი წერილი „სასტავისათვის შკოსნის“ თავად იდია ჭავჭავაძისა „მოგზაურში“ დაბეჭდილ კორესპონდენციის სახასუხოთ. თავადი ცდილობს მრავალ სიტყვაობით ამართლოს თავი. შეიძლება, გამართლდეს, მაგისას ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოთ მე შემიძლია მივუთითო მკითხველებს ორ ბრალდებაზე, რომელიც მიუძღვის გაზეთის ამწეობების მიმართ კერძოთ და მუშებისა—საზოგადოთ. როგორც მოგეხსენებათ, თავადი იდია ამ უკანასკნელ წლებამდე ითვლებოდა „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელათ. მოგეხსენებათ ისიც, რომ გაზეთი ხარჯს ვერ ასწორებდა; ამიტომ გამომცემლის ვალი იყო—ნაკლები დაჯდომოდა გაზეთის გამოცემა. ამაში ვერ გავამტყუნებთ, თუ ცალ-მხრივ შეხედავთ. დიახ, „ივერიის“ ასწეობის იხდიდა ისეთ მტირეს, რომ მხოლოთ ოთხ-ხუთ კაცს თუ ეუოფოდა ჯამაგირათ; ესენი კი, თავისთავათ ცხადია, ვერ მოასწრებდენ გაზეთის გამოუვანას, თუ დღე და ღამეს არ გაეგრძელებდენ. სწორეთ ასეც ხდებოდა: დილის 6—7 საათიდან ღამის 3—4 საათამდე და ხშირათ მეტსაც მუშაობდენ, მერე ისიც სარდაფში, სადაც ჭერი ნაკლები იყო. კარგა ხნის ომეანის შემდეგ მომუშავეებმა ვედარ ითმინეს ასეთი მდგომარეობა და მოთხოვეს თავიდს ხელობების გაუმჯობესება და ადამიანური მოპყრობა, დარწმუნებულნი, რომ იგი შეიბრალებდა „ტკივილ-მძიმეთ და დამაშვრალთ“. საშინლათ კი მოტყუვდენ: ხელობების გაუმჯობესების ნაცვლათ **ღორები** უწოდა და არც კი ისურვა მათთან საუბარი. ისე საწყენათ დარჩათ ეველას, „სასიქადულო მგოსნისაგან“ ასეთი პასუხი, რომ ეოველი სასოება და ხელივისცემა ამოიხოცა მომუშავეთა გულიდან.

შემდეგ ხომ კიდევ უარესი დღე დაეყარა „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელმა ახალგაზდა ამწეობებს. კარგა ხანმა განვლო, თავადი კი არ აუმჯობესებდა მომუშავეთა ხელობებს. ამიტომ ძველები ჩამოშორდენ და მისი ადგილი სულ ახლებმა დაიჭირეს. თუმცა ხელფასი მოთხოვნილებას დაუმაეოფილებელი დარჩა, მაგრამ ეს იმედს არ უკარგავდა მომუშავეთ და გაბედულათ მოთხოვეს ფასის მომატება, თუ არ დააკმაეოფილებდა, კაიეტებოდენ. რასაკვირველია, თავადისაგან უარი მიიღეს, იმათაც მუშაობაზე ხელი აიღეს. გაჯავრდა, გაბრაზდა თავადი, დახეთ, რას მიბედავენო. დაეუენა ხოლიტიკობა მტეველებათ და ცდილობდა სხვების შემწეობით გამოეყვანა ნომერი (მოდაბატეები ჩვენშიაც ერიენ). როცა თავადს ატყობებს, რომ თუ სხვა დააეენე, საშიში იქნებაო, მაშინვე ბრძანება გასცა, დაიწერეთ უველანი და ხოლიციაში ჩასხითო. ბრძანება შესრულებულ იქმნა, შეიპერეს პატარა „ბუნტოვშიკები“ (14—18 წლისანი), დააპატიმრეს და ჩასვეს სადღაც აეროლებულ ადგილას. დღე-ნახევარი წვალობდენ სასწეები ასე, შემდეგ კი გაანთავისუფლეს. წარმოიდგინეთ, თითქმის ხოლიტიკოსებს შეებრძოლა და მას კი, პატიოსნებულ თავადს, ვარ! აი, რანაირი შეუბრალებელი ბრძანება ჭვენი მგოსანი და დღეს რომ მაგისთანების იმედით ვეოფილა, შორს ვერ წავიდოდით.

ასოთ-ამწყობი.

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

I.

ცვლილება დედაკაცის ეკონომიურ მდგომარეობაში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შორეულ ხანას, როდესაც ეგრედ წოდებული „მატრიარხატი“ (ანუ დედაკაცის უფროსობა) ზოგიერთ ხალხთა შორის დედაკაცებს შესამჩნევ სოციალურ როლს ანიჭებდა, ქალს ყოველთვის უყუ-

რებდენ, როგორც დამოკიდებულს და დაბალ არსებას. მამა კაცის ეგოიზმმა და მოუხეშავმა ძალამ რკინის ჯაჭვებით შებოჭეს ქალი და ყოველივე საშუალება მოუსპეს მას რაიმე გავლენა მოეპოებია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„დიასახლისის ღირსებაზე“ და მის სულიერ სიმდიდრეზე სანტიმენტალური მასლაათით და მაღალ-ფარდოვანი სიტყვებით მამა-კაცები აფუჩეჩებდენ ქალის დაბეჩავებას, მის მონურ მდგომარეობაში ჩაყენებას.

ქალის მდგომარეობა ყოველთვის მშრომელი ხალხის მდგომარეობას უდრიდა. დედა-კაცი ყოველთვის ისეთივე დამოკიდებული და უფლებებს მოკლებული იყო, როგორც მშრომელი ხალხი.

საბერძნეთისა და რომაელ ქალბატონების უფლება და მოვალეობა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ძველებური მონა—დედაკაცის უფლება მოვალეობისგან. იგივე ითქმის საშუალო საუკუნოების ქალბატონის და მისი ყმა-მოსამსახურე დედაკაცის მდგომარეობაზე. რაც შეეხება თანამედროვე დედაკაცს, მისი მდგომარეობა ქვირაზე მომუშავე მამაკაცის მდგომარეობაზე ბევრათ უარესია.

როგორც ქვირაზე მომუშავე მამაკაცი, ისე ქალიც—ორივე საექსპლოატაციო (გასაყიდეფ) ობიექტს (საგანს) წარმოადგენენ. განსხვავება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ქალი უფრო ნაკლები უფლებებით არის აღჭურვილი და უფრო ადვილათ ხდება ექსპლოატაციის მსხვერპლათ.

ეს ასეც უნდა მოხდარიყო, რადგანაც ქალის მდგომარეობა რაიმე მუდმივ იდეაზე და ქალის უცვლელ „ბუნებრივ დანიშნულებაზე“ როდია დამოკიდებული. ეს „ბუნებრივი დანიშნულება“ და რაღაც იდეები სანტიმენტალური ეგოიზმის მოგონილია. საწარმოო დამოკიდებულებასთან ერთათ იცვლებოდა ქალის მდგომარეობაც.

ის პირობები კი, რომლებიც ეკონომიური აუცილებლობის გამო, ისტორიის სხვა და სხვა ხანებში, ქალის მდგომარეობას საზღვრავენ, ყოველთვინ დროს შესაფერ იდეებს ბადებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დანიშნულებაზე.

ჩვეულებრივათ, ამ იდეებს იმიტომ წამოაყენებენ ხოლმე წინ, რომ ფაქტიურათ უკვე არსებული ქალის მდგომარეობა ახსნან და მისი აუცილებლობა და სარგებლობა დაამტკიცონ.

დედაკაცის დამოკიდებული მდგომარეობა იწყება იმ დროიდან, როდესაც გამარჯვებული მეომრები იტაცებდენ ქალებს და მათ თავის პირველ კერძო საკუთრებათ და საუკეთესო მუშა ძალათ ხდიდენ.

ამ ნაირათ მამაკაცმა დასდო ქალის ეკონომიური და საზოგადოებრივი დამოკიდებულების საუძველი. კაცსა და ქალს შორის შრომა განაწილდა: დაუმუშავებელი საქონლის მოპოვება და მტრის მოგერება (ომი) ერგო კაცს, ხოლო შინაური, საოჯახო საქმეებზე ზრუნვა—ქალს.

ამაზე აშენდა დღეს უკვე დახაზებული, მაგრამ საზოგადოებაში მაგრათ ფეხ-გადგმული ცრუმორწმუნეობა, რომ „მთელი სამყარო წარმოადგენს მამაკაცის სახლს, ოჯახი კი დედაკაცის სამყაროს“.

რაც შექმნა ძალმომრეობამ, ის აკურთხა და დააკანონა ჩვეულებამ.

ქალის სისუსტე და სიუძლურე, საუკუნოების განმავლობაში, შეიქმნა ჭეშმარიტებათ, დაურღვეველ საბუთათ, რომელზედაც ააშენეს მთელი სისტემა ქალის საზოგადოებრივი, გონებრიეი და ზნეობრივი ტანჯვა-წვალებისა.

სამართო წერილის გადმოცემით კაცის პირველი ცოდვა ევას წყალობით მოხდა; ასკეტებიც ხომ იმ აზრისანი იყვნენ, რომ ქალი ცხონების საქმეში ხელის შემშლელ არსებას წარმოადგენს.

აი აქედან შედგა აზრი ქალის უღირსობაზე, ქალის არარაობაზე და აქედან კი—დაურღვეველი აზრი ქალის კაცისგან დამოკიდებულებაზე. როგორც თეოლოგიურმა შეხედულებამ მოიგონა, რომ ხარები ვითომ მისთვის იყოს გაჩენილნი, „რომ კაცს ექმნეს საშვალება ჰამოს ხორცი და ატაროს ტყავის ფეხსაცმელი“—ისე ფილოსოფოსთა და კანონმდებელთა უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ქალი არის გაჩენილი მამაკაცის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, დასატკბობათ, შთამომავლობის გასაგრძელებლათ და საოჯახო საქმისთვის.

ქალის ვითარება ელტვოდა მხოლოთ ერთ მიზანს: ქვრის მფარველობის ქვეშ მას უნდა ეშრომნა ოჯახი, ოჯახის სასარგებლოთ.

ასრულებდა ამ ძნელ მოვალეობას, მაგრამ ვერავითარი უფლებები კი ვერ სარგებლობდა.

მამაკაცი, რომელიც ოჯახის ბატონ-პატრონათ ითვლებოდა, ახვევდა ქალს კისერზე აუარებელ საქმეს და ნაცვლათ ამ აუტანელი შრომისა მხოლოთ არჩენდა მას.

სანამ წარმოება არ იყო ისე გაუმჯობესებული, როგორც ეხლა, ქალის მოქმედების წრეც არ შეიძლებოდა გაფართოებულიყო. ქალი იყო მიჯაჭვული ოჯახზე პირველნდელი შრომის განაწილებით და წარმოების თვისებათ. ძველი წარმოება ართმევდა მას იმდენ დროს, იმდენ შრომას და ისეთი უნაყოფოც იყო, რომ მთელი თავისი დრო და ძალღონე ჰირდებოდა ქალს ოჯახის აუცილებელ-მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

ის პატივისცემა, რომლითაც ეპყრობოდენ ქალს, როგორც კარგ დიასახლისს, მიუხედავათ მის უუფლებო მდგომარეობისა, იყო აუცილებელი შედეგი ოჯახური დამოკიდებულებისა.

პატივსა ცემდენ ქალს არა როგორც პიროვნებას, არამედ როგორც შეუდარებელ სამუშაო ძალას ოჯახში.

აი სწორეთ ამითი ახსნება ის ღრმა და არსებითი განსხვავება, რომელიც არის ძველსა და ახალ დიასახლისის შორის. ძველი დიასახლისის როლი პოულობდა ახსნას მაშინდელ ეკონომიურ პირობებში. ეხლანდელ ცხოვრებაში კი ძველი დიასახლისის როლი წამოადგენს ეკონომიურ ანახრონიზმს, რადგანაც წარმოების პირობების ცვლილებასთან ერთათ კაცისა და ქალის როლებიც შეიცვალენ, განსხვავდენ, როგორც გარეშე ეკონომიურ ცხოვრებაში, ისე ოჯახშიაც.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

საზოგადო კრიზისისა გამო დურგალთა ამხანაგობამ უმჯობესათ სცნო ხარჯების შესამცირებლათ მაღაზია, რომელიც მოთავსებული იყო მიხეილის ჭუჭაზე, გადაეტანა ელისაბედის ჭუჭაზე, აწ არსებულ საამხანაგო ქარხანასთან. ამისთვის ნება გვიბოძეთ, შევატყობინოთ მკითხველ საზოგადოებას და ამხანაგობის თანამგრძნობელთ, რომ ხმები, გავრცელებული არა-მკითხე მოამბეთაგან, ვითომ ჩვენი ამხანაგობა იხურებოდეს, ჰორებია და, მაშასადამე, ყოველ სიმართლეს მოკლებული. ჩვენ ამხანაგობის დახურვაზე არც გვიფიქრია და ან რა ჰკუაში მოსასვლელია, ისიც ამ დროს, როდესაც ხელოსნებმა უფრო შეიგნეს ძალა საერთო მოქმედებისა.

გამგეობის თავმჯდომარე **გრ. თოიძე.**

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Мая 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.